# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 212 (6069)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


ნინო ბურჯანაძე:



8

## „მთავრობა ჩვენს ხალხს ატყუებს“...

SPIEGEL

ყველანაირი ფობია ფაშიზმისკენ მიმავალი გზაა 4

კვლავ რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გამო 8

BusinessWeek



კოკოითი ჯაშუშებზე ნადირობას იწყებს 2





ამერიკელმა ხალხმა 4 ნოემბერს მართლაც საოცარი არჩევანი გააკეთა და „თეთრი სახლი“, „ბიძია თომას ქოხად“ გადააკეთა.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ რა გავლენა მოახდინეს ამერიკელების არჩევანზე ქართველმა პოლიტიკოსებმა, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება რომ ახერხებს და „ბიძია თომას ქოხად“ ქცეულ საქართველოს „თეთრ სახლად“ წარმოგვიჩენს, ამას ნათლად ვხედავთ.

## „ბიძია თომას ქოხი“ 3

ახალი ამნისტიის უპრეცედენტობის პირველ ნიშანს იურისტები იმაში ხედავენ, რომ მისი დაბადების იდეის თაობაზე საზოგადოებას პირველად არა იუსტიციის, არამედ შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ამცნო. 9-11



## „ბრანდიოზულიდან“ „უპრეცედენტო“ ამნისტიამდე



## ვინ დარჩება მოგებული და ვინ - წაგებული? 9

## თურქული პროდუქცია იაფია, მაგრამ უგემურია

## ინფორმაცია

# უკრაინასა და საქართველოს ნატოსკენ მიმავალ გზაზე კვლავ მერკელი გადაეღობა

**საქართველოსა და უკრაინას შეუძლიათ გახდნენ ნატოს წევრები, მაგრამ არა ამ ეტაპზე.**

**„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბერლინში, ასოციაცია „ატლანტიკური ალიანსის“ 54-ე ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

გერმანიის კანცლერის აზრით, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის.

— საქართველოსა და უკრაინას შეუძლიათ გახდნენ ნატოს წევრები, თუ შეასრულებენ გაწევრებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას. გერმანიას ისევ მიაჩნია, რომ ორივე ქვეყანას შეუძლია ალიანსის წევრობა, თუ ეს მათ სურთ და თუ ალიანსი თანახმაა, — აღნიშნავს მერკელი.





პერევში მცხოვრები 650 ადამიანი ამ დრომდე დაუცველია. მათ ჰუმანიტარული დახმარებაც სჭირდებათ.

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა მზად არის ჰუმანიტარული ტვირთი შეიტანოს, თუმცა მათ ისევე როგორც ევროკავშირის დამკვირვებლებს იმერეთის ამ სოფელში რუსი ოკუპანტები და ოსი სეპარატისტები არ უშვებენ.

# გატაცებულთა ახლობლებმა გორთან გზა გადაკეტეს

**გუშინ პარალიზებული იყო მოძრაობა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე.**

ერთი კვირის წინათ გორის რაიონის სოფელ კირბალიდან გატაცებული 6 მამაკაცის ახლობლებმა პროტესტის ნიშნად გზა გადაკეტეს.

გატაცებულების ახლობლებს თავდაპირველად ოსი გამტაცებლები უკავშირდებოდნენ და სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებდნენ, თუმცა ბოლო რამდენიმე დღეა, ყველანაირი კავშირი შეწყდა.

აქციის მონაწილეები ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყებების მხრიდან ზომების დაუყოვნებლივ მიღებას და ტყვეების გათავისუფლებას ითხოვენ.

# უნდა გადახედონ ეუთოს მანდატს

**რუსეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები კავკასიის კრიზისსა და ეუთოს მოდერნიზაციის აუცილებლობაზე მოსკოვში იმსჯელებენ.**

მანამდე კი, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი საქართველოში ეუთოს მანდატის გადახედვის ინიციატივით გამოვიდა.

— აქამდე მოქმედი ფორმატი არსებულ რეალიებს აღარ შეესაბამება. რუსეთი მზად არის, სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე ეუთოს სამხედრო დამკვირვებლებისთვის დამატებით მანდატებზეც იმსჯელოს, — აღნიშნა რუსმა მინისტრმა ალექსანდრ სტუბის მოსკოვში ჩასვლამდე.

# პერეველები კვლავ დაუცველნი არიან

**საჩხერის რაიონის სოფელ პერევში სიმშვიდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები და ქალები გახიზნულია, მოხუცები და მამაკაცები სახლების მიტოვებას არ აპირებენ. მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თანადგომას.**

ადგილობრივების თქმით, ოსმა სეპარატისტებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ სოფლის ტერიტორია და სიტუაციის ნორმალიზებამდე ევროკავშირის დამკვირვებლები განთავსდნენ.

# სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

**საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფ თეიმურაზ გ.-ს ბრალი წინასწარი შეთანხმებული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ძარცვაში ედებოდა, რაც 5-დან 8 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.**

მას აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო (8000 ლარი), პატიმრობის უზრუნველყოფით. თანხის გადაუხდელობის გამო ბრალდების მხარემ მოითხოვა განსასჯელის პატიმრობა 3 წლისა და 8 თვის ვადით, თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის მურმან ნიკოლეიშვილის დახმარებით, არასრულწლოვანი ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე წარადგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ თეიმურაზ გ.-ს ოჯახი დარეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა სიაში. გარდა ამისა, ადვოკატმა მოითხოვა თეიმურაზ გ.-სთვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა და, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯარიმისგან გათავისუფლება.

სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა და არასრულწლოვანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

# კოკოითი ჯაშუშებზე ნადირობას იწყებს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული ჯაშუშური ქსელის შესახებ განაცხადეს, — წერს გაზეთი „კომერსანტი“.**

**ცხინვალის სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ სოფელ თამარაშენში, რომელსაც ადრე ქართული მხარე აკონტროლებდა, ნაპოვნია მონაცემთა ბაზა იმ აგენტების ვინაობით, რომლებიც სხვადასხვა წლებში ქართული სპეცსამსახურების მიერ იყვნენ გადაბირებული, აგრეთვე, აუდიოკასეტები მათთან საუბრების ჩანაწერით.**

**როგორც გაზეთი წერს, თამარაშენში არსებულ შენობას, სადაც აგენტების შესახებ ინფორმაციები აღმოაჩინეს, 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები იკავებდნენ.**

**— აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე უკვე დაკავებულია ერთი პირი. სახელმწიფო ღალატში ბრალი ედება სამხრეთ ოსეთის „კა-გე-ბე-“ ს სასაზღვრო სამსახურის ოპერატიულ მორიგეს, მაიორ თემურ კუჩმაზოვს. მათი მონაცემებით, მაიორმა კუჩმაზოვმა დაკითხვის დროს ფაქტობრივად აღიარა საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, — წერს გაზეთი.**



ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ კუჩმაზოვი ყვება, როგორ გაიცნო 2005 წელს ვინმე საშა, რომელმაც თავიდან შესთავაზა, ერთობლივად ეწარმოებინათ ბიზნესი, შემდეგ კი ინფორმაციის მიწოდებაზეც დაითანხმა.

**ინფორმაციების სანაცვლოდ კუჩმაზოვმა 2,5 ათასი დოლარი მიიღო. საიდუმლო მონაცემებს იგი 2007 წლის შემოდგომამდე გადასცემდა.**

**„სახელმწიფო ღალატში“ ბრალდებულის ადვოკატები აღნიშნავენ, რომ საგამოძიებო ღონისძიებები მრავალრიცხოვანი დარღვევებით ჩატარდა. კერძოდ, მაიორი ვლადიკავკაზშია ჩაწერილი და ცხინვალში უკანონოდ ჩაიყვანეს, კანონის თანახმად მისი დაკითხვა რუსეთში უნდა ეწარმოებინათ.**

**„კომერსანტის“ ინფორმაციით, ე.წ.სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები უფლებადამცველები არ გამორიცხავენ, საქართველოს სპეცსამსახურების არქივი გამოყენებული იყოს იმ ჩინოვნიკების, პოლიტიკოსებისა და სამხედროების წინააღმდეგ, რომლებითაც ედუარდ კოკოითი უკმაყოფილოა.**

## ეროვნული ვალუტა

# ნინო ბურჯანაძე: სავალუტო ბაზარზე განვითარებულმა პროცესმა, შესაძლოა ეკონომიკური და სოციალური კატასტროფის წინაშე დააყენოს ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა

**„საქართველოს მოსახლეობა ყოველთვის განსაკუთრებული გაგებით ეკიდებოდა ეკონომიკურ პრობლემებს. მით უმეტეს ახლა, როცა ერთდროულად განვიცდით მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს ომის ნეგატიურ შედეგებს. მაგრამ, ეროვნული ვალუტის უეცარი დევალვაციის პროცესი, რომელიც 5 დღის წინათ დაიწყო და დღესაც გრძელდება, არ არის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე და უფრო მეტად სახელმწიფო პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება.**



შექმნილ ვითარებაში გაცვლითი კურსის მეტი ელასტიკურობა გარდუვალი აუცილებლობაა, მაგრამ ახალი პოლიტიკის ამოქმედება არ უნდა იწყებოდეს პარასკევს საღამოს და არ უნდა იყოს მიზნობრივად ორიენტირებული ბაზარზე პანიკის დათესვაზე. ექსპერტებმა იციან, რომ თუ არსებობს ვარაუდი საეჭვო ოპერაციებთან დაკავშირებით, ასეთი რამ ხშირად სწორედ პარასკევს ხდება, რადგან მომდევნო 2 დღე არ მიმდინარეობს საბანკო ოპერაციები.

ჩემთვის გასაკვირია, რატომ გაკეთდა ეროვნული ბანკის განცხადება მხოლოდ დღეს და არა შაბათს. განა შაბათს არ იცოდა ეროვნულმა ბანკმა, რომ საკმარისი რესურსი ჰქონდა კურსის სტაბილიზაციისთვის? შეუძლებელია ეროვნულმა ბანკმა არ იცოდეს, რომ იმპორტზე ორიენტირებულ ქვეყანაში, საინვესტიციო რესურსის მკვეთრი შემცირების ფონზე, სულ მცირე არასერიოზულია იმის ართქმა, რომ დოლარის კურსის გამყარება აუცილებლად იმოქმედებს ინფლაციაზე. თუკი არსებობდა წონასწორობის ნიშნულის მოძიების აუცილებლობა, ეროვნულ ბანკს შეეძლო ეს არა ნახტომისებური ზრდით, არამედ ეტაპობრივად გაეკეთებინა.

დღევანდელი განცხადება ნათელს ხდის, რომ ხელისუფლება ცდილობს მთავრობისა და ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა გადაამისამართოს ცალკეული სავაჭრო ობიექტების მფლობელებზე და მათ დააბრალოს ფასების გარდაუვალი ზრდა.

მიმდინარე პროცესი არის ან რამდენიმე მაღალჩინოსნის სურვილი, ხელი მოითბოს მოსახლეობის დანაზოგებზე, ან ჩვენ მომსწრენი ვართ დაუგეგმავი, გაუთვლელი პოლიტიკისა. ამ პროცესმა კი, შესაძლოა ეკონომიკური და სოციალური კატასტროფის წინაშე დააყენოს ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა.



**ჩვენ ვერ ვხედავთ ხელისუფლების გონივრულ, მიზანმიმართულ პოლიტიკას და რეალურ სურვილს, თავიდან აგვაცილოს თუნდაც ფასების კატასტროფული ზრდა.**

**ეს არის კიდევ ერთი დარტყმა ლარზე, როგორც ანგარიშსწორებისა და დაგროვების ვალუტაზე, ანუ ქვეყნის შიდა საინვესტიციო რესურსზე“.**

## ცვლილებები

# საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევა

**საგადასახადო და საბაჟო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს მთავრობა მომავალ კვირას წარმოადგენს. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. გილაურის თქმით, კოდექსში რამდენიმე ცვლილება შედის, მათ შორის ცვლილებები საშემოსავლო და დივიდენდის გადასახადის შემცირების შესახებ.**

ნიკა გილაურის თქმით, საშემოსავლო გადასახადის შემცირებით საქართველოს ეკონომიკაში დამატებით 250 მილიონი ლარი დარჩება.

კანონმდებლობაში მეტად საინტერესო ცვლილებები შედის, მათ შორის ის ინიციატივა, რაც პრემიერმა გაახმიანა, ეს არის საშემოსავლო გადასახადის 25%-იდან 20%-მდე შემცირება და დივიდენდის გადასახადის 10%-იდან 5%-მდე შემცირება.

— რეალურად, ეს ეკონომიკაში დატოვებს დამატებით 250 მილიონ ლარს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავისი ხელფასიდან იხდიდა 25%-იან განაკვეთს, ამ ცვლილებების შემდეგ გადაიხდის 20%-ს. მთელ საქართველოში დასაქმებულთა 100%-ს გაეზრდება ხელფასი, — განაცხადა ნიკა გილაურმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

⊙ განმარტება

# „ილია მეორე ანუ – მეორე ილია“



გასაგები მიზეზის გამო ამ ბოლო ხანს ჩემი ტელეფონი, რომ იტყვიან, გადახურდა; ყველას მადლობას მოვახსენებ კეთილი სიტყვებისა და სურვილებისათვის... განსაკუთრებით საგულისხმო კი ჩემი უფროსი მეგობრის, პოეტ ტარიელ ჭანტურიას სატელეფონო ზარი გახლდათ და აი, რატომ:

არჩევნებთან დაკავშირებულ სარეკლამო კლიპში, ზოგს, ალბათ, დაგამახსოვრდათ ჩემი მიმართვა პატრიარქისადმი: *„თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, მარტო ილია მეორე კი არა, მეორე ილია ბრძანდებით საქართველოსთვის“...*

ტარიელმა წამიკითხა თავისი მილოცვა პატრიარქის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, გელათის აკადემიის ჟურნალში რომ დაუბეჭდავს ამ ხუთიოდ წლის წინათ და სადაც ეს „კალამბური“ ბეჭდურად პირველად გაჟღერებულა: *„ილია მეორე — მეორე ილია“*. თან დაამატა — მაშინ ზოგმა ურწმუნო თომამ გაზვიადებაში ჩამითვალა ეს გამოთქმაო.

რიგიან მკითხველად ვითვლები, თანაც ტარიელ ჭანტურიას ნაწერს, ჩვეულებრივ, გულისყურით ვკითხულობ ხოლმე... სამწუხაროდ, ის წერილი არ წამიკითხავს... რომ წამეკითხა, ალბათ, ხუთ წელიწადს არ დაველოდებოდი და ტარიელის ამ ფრაზას აქამდეც გამოვიყენებდი — ყოველ მოხდენილ გამოთქმას აზრი ეკარგება, თუ იგი სხვებმა არ გაიმეორეს!

მთავარი მაინც სხვა გახლავთ: ეს აზრი რომ დაბადებულიყო, ამას პატრიარქის კოლოსალური, მართლაც რომ, მოწამებრივი ღვწა უძღოდა წინ... მაგრამ ეს აზრი რომ ძვალ-რბილში გაგვიჯდეს ქართველობას, ამას მარტო ის ყურები არ ეყოფა, რომლებიც კეფაზე გვასხია — მას გულზე გამობმული ყური ანუ გულისყური უნდა მივაპყროთ. სწორედ მაშინ იქცევა ყველას საკუთრებად *„ილია მეორე ანუ — მეორე ილია“* და არც იმის მითითება გახდება საჭირო, ვინ დაწერა ან ვინ ამოთქვა პირველად ეს კალამბური.

თამაზ კვაჭანტირაძე.
10.11.08.

⊙ ინფორმაცია



## ჯონდის თურმე ბელასენმა დაასწრო

23 ნოემბერს სავარაუდოდ შალვა რამიშვილი, ნორა კვიციანი, მაია თოფურია და თამაზ ბაკურიძე პატიმრობიდან გათავისუფლდებიან. ამის შესახებ საპარლამენტო ოპოზიციიდან იტყობინებიან. უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას შესაბამისი მოთხოვნა უკვე წაუყენეს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ 23 ნოემბერს დაგეგმილ შეწყალება-ამნისტიის აქტით ამ პირებთან ერთად გასული წლის ნოემბრის მოვლენების დროს დაპატიმრებული პირებიც უნდა გათავისუფლდნენ. საპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლებას პოლიტპატიმართა ოცკაციანი სიაც გადასცა. იმ შემთხვევაში კი თუ მათი მოთხოვნა გათვალისწინებული არ იქნება, ამნისტიის შესახებ კანონპროექტის შემუშავებაში ოპოზიცია მონაწილეობას არ მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ნორა კვიციანისა და მაია თოფურიას საქმეებით „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციაც“ დაინტერესდა. ფედერაციის პრეზიდენტი სუერ ბელასენი ორივე მათგანს პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს.

პირადად შევისწავლე ეს საქმეები. მე ვესაუბრე ნორა კვიციანის ოჯახის წევრებს და დავრწმუნდი, რომ ის ამ ხელისუფლების მძევალია. ასევე აღსანიშნავია მაია თოფურიას საქმე, რომელიც კიდევ 11 ადამიანთან ერთად იმყოფება ციხეში. ვფიქრობ ისინი უსამართლოდ არიან დაპატიმრებულნი. მათი სასამართლო პროცესი არ იყო გამჭვირვალე და საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, — აღნიშნავს სუერ ბელასენი.

ცნობისთვის: 23 ნოემბერს დაგეგმილი ამნისტია სისხლის სამართლის კოდექსის 35 მუხლის საფუძველზე 2700 ადამიანს შეეხება, გარდა ამისა პატიმრები საპყრობილეებს შეწყალების საფუძველზეც დატოვებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

⊙ განსჯა

# „ბიძია თომას ქოხი“

**„იუმორინა 2008“-ის სარეკლამო რგოლი რომ ვნახე, ერთი პირობა ვიფიქრე, ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტაქტიკა შეუმუშავებიათ და „ქვეყნის დალაგებისთვის“ მოსახლეობის გამოყვანას ცეკვითა და სიმღერით აპირებენო.**

პრინციპში რატომაც არა.

როგორც ცნობილია, ბრძოლაში წარმატების მისაღწევად, ერთ-ერთ ეფექტიან სვლას, მოწინააღმდეგის „იარაღის“ გამოყენება წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ, „მუხლჩაუხრელი შრომის“ მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხა ხალხისთვის ნორმალური საარსებო გარემოს შექმნა, მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების ყველაზე მარტივი და „ხმაურიანი“ ხერხი მოძებნა.

ე.წ. „შეღებილი ფასადების“ როლში ხან შაკირას, ხან კუტუნიოს და ხანაც მარადონას გამოყვანა და მათ მიერ ჩატარებული „შოუებით“ მოსახლეობის დარწმუნება, რომ ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა, ამ „ტაქტიკის“ ერთ-ერთი „მთავარი ხაზი“ იყო.

ამ სამთავრობო „სტრატეგიის“ „გაშიფვრის“ შემდეგ, ვიფიქრე, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ბრძოლის გაგრძელება მათივე მეთოდით გადაწყვიტა და რადგანაც მათი ფინანსური რესურსი, ახლოსაც ვერ მივა ხელისუფლების „მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან“, ამიტომ ქართველი მსახიობებისა და მომღერლების მეშვეობით სცადა ზემოთ ნახსენები „სტრატეგიის“ განხორციელება.

საქმეში ჩახედული მკითხველი ალბათ დამცინებს, მაგრამ სხვა რა უნდა მეფიქრა, როცა სალამოხანს, დივანზე ხელში „არალეგალური ლიტერატურით“ წამოწოლილს (ერთ-ერთი რუსი მწერლის წიგნს ვკითხულობდი), ტელევიზორიდან ჯერ: — „მე იმათი ჯიში რა ვთქვა, ვინც ჩაგვაგდო ჩვენ ამ დღეშიო“ და ბოლოს „ერთხელ და სამუდამოდ, დავალაგოთ ეს ქვეყანაო“ მომესმა.

„საბედნიეროდ“ დროზე მივხვდი, თუ ვის მიმართ იყო ეს სიტყვები ნათქვამი, თორემ პროფკავშირის სასახლესთან კარგა ხანს მომიწევდა საპროტესტო აქციის ძებნა.

არადა, თუ კარგად დავაკვირდებით, გასულ კვირაში მომხდარი მოვლენები მართლაც „იუმორინას სტილში“ განვითარდა.

თუ საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები „კარგი სცენარითა“ და „როლებისთვის მშვენივრად მორგებული მსახიობების შესრულებით“ მიმდინარეობდა და უფრო დრამატული სახე ჰქონდა, „ქართულმა პოლიტიკამ“ „ცუდად დაწერილი სცენარითა“ და „უნიჭო მონაწილეების შესრულებით“ „ჩავარდნილი კონცერტივით“ ჩაიარა (ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს „კონცერტი“ უკვე მეორე ათწლეულია რაც გრძელდება).

მიუხედავად იმისა, რომ 3 ნოემბერს „ქართული დემოკრატია“, კვლავ მორიგი „გამოცდის“ წინაშე იდგა, ზოგიერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა „თავისი ძალები“ საერთაშორისო ასპარეზზე მოსინჯა და სხვადასხვა ნაბიჯებით შეეცადა გარკვეული გავლენა მოეხდინა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე.

ბატონმა შალვა ნათელაშვილმა წერილით მიმართა ამერიკელ ხალხს, მხარი დაეჭირათ ბარაკ ობამასთვის (მაგარია ნათელაშვილი).

ბატონმა კოკა სუბელიანმა კი საკუთარი „ფავორიტის“ მხარდასაჭერად, საკუთარ ავტომობილს სავარაუდოდ 10000 ლარად ღირებული, ჯონ მაკქეინის სახელამოტვიფრული ნომრები მიარგო (არა, ამ ხელისუფლებას დიდი დრო აღარ დარჩენია).

ამერიკელმა ხალხმა 4 ნოემბერს მართლაც საოცარი არჩევანი გააკეთა და **„თეთრი სახლი“, „ბიძია თომას ქოხად“ გადააკეთა**.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუ რა გავლენა მოახდინეს ამერიკელების არჩევანზე ქართველმა პოლიტიკოსებმა, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფლება რომ ახერხებს და **„ბიძია თომას ქოხად“ ქცეულ საქართველოს „თეთრ სახლად“ წარმოგვიჩენს,** 3 ნოემბერს აჭარაში, ვაკისა და დიდუბის რაიონებში ჩატარებულ არჩევნებშიც გამოჩნდა.

რაღა დაგიმალოთ და, ამერიკული არჩევნებისგან განსხვავებით, ქართული არჩევნები ნამდვილად არავის არ აინტერესებდა მონაწილე კანდიდატებისა და მათი ახლობლების გარდა.

ამ ე.წ. „არჩევნებში“ მონაწილე პარტიები, ყველანაირად ეცადნენ „შეეფხიზლებინათ“ ამდენი უშედეგო „არჩევნებისგან“ თავმობეზრებული ამომრჩეველი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხეს.

მათ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ახალი, საინტერესო სახეების“ შემოყვანაც სცადეს, მოსალოდნელი გაყალბებების შესახებ „მკვეთრი განცხადებებიც“ გააკეთეს. სხვადასხვა „ჟანრში“ გადაღებული სარეკლამო კლიპებით სრულად „დატვირთეს“ უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი დრო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, 1500 ამომრჩევლიან უბნებზე 70 კაცის მეტი არ მივიდა.

ხალხმა ამ არჩევნების შედეგები კარგად იცოდა. იცოდა, რომ ამ არჩევნებს არავითარი „შედეგი“ არ მოჰყვებოდა და ამიტომაც არ მივიდა საარჩევნო უბნებზე.

„არჩევნებისგან“ განსხვავებით, ხალხმა ისიც კარგად იცოდა, რომ არც 7 ნოემბერს დაგეგმილ აქციას ექნებოდა რაიმე შედეგი, მაგრამ პარლამენტის წინ მაინც შეიკრიბა.

ეგ კი არადა, აქციაზე ჯონდი ბაღათურიაც გამოჩნდა.

გამოჩენით კი გამოჩნდა, მაგრამ რა? — არაფერი.

ტრიბუნასთანაც არ (თუ ვერ) მივიდა (ეს რბილად რომ ვთქვათ). ბაღათურია ორშაბათის არჩევნებზეც იყო მისული და იმასაც ამბობდა, რომ ელექტორატის 84 პროცენტი ჩემს კანდიდატებს უჭერს მხარსო, მაგრამ იმ დღესაც — არაფერი.

მოკლედ, წინა კვირაში, სულ ტყუილად იარა ჯონდი ბაღათურიამ.

ხალხს ძალიან გაუკვირდა ბაღათურიას აქციაზე გამოჩენა. არადა კაცმა რომ თქვას, რა იყო აქ საკვირველი. აბა სად უნდა წასულიყო „ქართული დასის“ ლიდერი, იმ დროს, როცა „ქრისტიან დემოკრატები“ ჯერ ტელეკომპანია „იმედთან“ იყვნენ და ტელეკომპანიის დარბევის ერთი წლისთავს „აღნიშნავდნენ“, შემდეგ კი დიდუბის ეკლესიაში იმ დარბევის ზოგიერთ „ორგანიზატორთან“ ერთად იწერდნენ პირჯვარს.

ახლად „გამოჩეკილი“ „დემოკრატები“ სამების ტაძარში „იდგნენ ლოცვად მუხლმოყრილნი“.

პრეზიდენტი „დემოკრატიის განმტკიცების“ დროს, სასტიკად ნაცემ კაცთან იყო სტუმრად და იმ კაცს ლაპარაკს არ აცლიდა.

სხვები კიდევ ვინ სად იყო და ვინ სად.

ჰოდა, პარლამენტს „უპატრონოდ“ ხომ არ დატოვებდა. ადგა, მივიდა და სიტუაციას გადახედა. ნახა, რომ ყველაფერი „წესრიგში იყო“, ანუ მის დეპუტატობას ჯერ რომ არავინ არ ემუქრებოდა და წავიდა.

ამ დროს გაერთიანებული ოპოზიცია, საკმაოდ მაღალი ხარისხის „პროკლამაციებს“ არიგებდა, რომლებზეც მათი მოთხოვნები და მოქმედების გეგმა იყო დაბეჭდილი.

ჯერ კიდევ აქციის მიმდინარეობის დროს გაჩნდა რამდენიმე საჭირბოროტო კითხვა, რომლებზე პასუხებიც, ოპოზიციის მოქმედების ამ გეგმის გაცნობის შემდეგ, კიდევ უფრო აუცილებელი გახდა.

ეს კითხვები პირველ რიგში აქციის ორგანიზებამ წარმოშვა, რადგანაც გაუგებარი იყო (და რჩება) გაერთიანებულ ოპოზიციაში მოქმედი პოლიტიკური ძალების ერთმანეთთან კოორდინაციისა და შეთანხმებულად ქმედების საკითხები.

მაგალითად, ძალიან ბუნდოვანია, თუ რომელმა პოლიტიკურმა ძალებმა დაგეგმეს 7 ნოემბრის აქცია და ვინ იქნება შემდგომში დაგეგმილი აქციების ორგანიზატორი.




იხ. 4 გვ.

## განსჯა

(მესამე გვერდიდან)

ერთის შეხედვით ეს საკითხი, არც თუ ისე ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით.

არა მხოლოდ ისტორიული, ბოლო ერთი წლის გამოცდილებაც გვაჩვენებს, რომ ნებისმიერ ბრძოლას და მით უმეტეს ბრძოლის პერმანენტული აქციებით წარმოებას, აუცილებლად სჭირდება ისეთი წამყვანი ძალა, რომელსაც ექნება საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები, მკვეთრად ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია.

სამწუხაროდ, დღევანდელ პოლიტიკურ ძალებს არამც თუ საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები და მკვეთრად ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია, საერთოდ არანაირი პოზიცია არ გააჩნიათ.

ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ 7 ნოემბრის აქციის ორგანიზატორად საკუთარი თავის დასახელებას პოლიტიკურ ძალთა დიდმა ნაწილმა რატომღაც თავი აარიდა.

მათი ასეთი „მორიდებული და პასიური“ პოზიცია, საზოგადოების თვალში არც თუ ისე „კარგად ჩანს“, რადგანაც კითხვაზე „რატომ“, სავარაუდო პასუხები საკმაოდ მკაცრად ჟღერს:

**1. პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ.**

**2. ვერ შეთანხმდნენ „ლიდერზე“.**

**3. „საიდანღაც, რაღაცას“ ელოდებიან.**

**4. ჯერ არ სურთ თავიანთი პოზიციის დაფიქსირება, ისეთ სავარაუდო პოლიტიკურ პარტნიორთან, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიიღებს პროტესტის ასეთ ფორმაში მონაწილეობას** (არ არის სავალდებულო მხოლოდ ნინო ბურჯანაძე ან ზურაბ ნოღაიდელი ვიგულისხმოთ, რადგანაც სრულიად მოსალოდნელია, რომ ეროვნულ მოძრაობაში დაიწყოს გარკვეული ოპოზიციური ჯგუფების წარმოშობაც.

ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ 7 ნოემბრის აქციაზე პოლიტიკურმა ძალებმა კი არ მიიყვანეს ხალხი პროტესტის გამოსახატად, ხალხი თავისით მივიდა და პოლიტიკური ძალები უბრალოდ შეუერთდნენ მათ და აქციას „კლასიკური ფორმა“ მისცეს.

ამ საკითხის ანალიზისგან ჯერჯერობით, სპეციალურად ვიკავებ თავს.

ასევე ძალიან „თხლად გამოიყურება“ დაგეგმილი აქციების ჩატარების ფორმები და დასაყენებელი საკითხები.

მაგალითად:

**23 ნოემბერს დაგეგმილია ტელეკომპანია „იმედის“ 24-საათიანი პიკეტირება და 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ნოემბრამდე საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება.**

რბილად რომ ვთქვა, ეს აქცია და მისი ჩატარების ფორმა რაღაცნაირად „შინაურების შეკრებას“ უფრო ჰგავს და არამც თუ თავად პროტესტის მიზეზი, ნებისმიერი შედეგიც კი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის აბსოლუტურად უინტერესოა.

**„2009 წლის 25 იანვარს 15:00 საათზე საპროტესტო აქცია რესპუბლიკის მოედანზე არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ.**

აქციაზე დადგება შემდეგი მოთხოვნები: **1. გაუქმდეს 2008 წლის 5 იანვრის პრეზიდენტის და 21 მაისის პარლამენტის არჩევნების შედეგები. 2. დაინიშნოს ხელახალი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები 2009 წლის გაზაფხულზე ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე.**

აქციის დასრულების შემდეგ დაიწყება ოპოზიციური ლიდერების მასობრივი შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში, ქალაქსა და რაიონში.“

მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ვეთანხმები ორივე მოთხოვნას, აქაც არის ორიოდე კითხვა.

**რატომ ველოდებით 2009 წლის 25 იანვარს, 2008 წლის 29 ნოემბერს რომ მოვითხოვოთ არ შეიძლება?**

ბარაკ ობამას ინაუგურაციას ველოდებით, შევარდნაძის დაბადების დღეს თუ ჩინურ ახალ წელიწადს?

თუ სხვა რაიმე სიმბოლური დატვირთვა, ან სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს 25 იანვარს და არ ვიცით, მაშინ სხვა საქმეა.




# „ბიძია თომას ქოხი“

მოთხოვნებში არის საკმაოდ „სოფისტური“ ლაფსუსი:

არჩევნების შედეგების გაუქმება ავტომატურად იწვევს პრეზიდენტისა და პარლამენტის ლეგიტიმაციის გაუქმებას. აქედან გამომდინარე, არალეგიტიმური პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი უქმდება, ანუ უკანონო ხდება „ახალი საარჩევნო კოდექსიც“, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები. ე.ი. უკანონო კოდექსით ჩატარებული არჩევნებიც უკანონო იქნება.

დაბოლოს: პატივცემულო ლიდერებო, რატომ გეგმავთ მოსახლეობაში გასვლებს 25 იანვრიდან? რა, 25-მდე ცუდი ამინდებია გამოცხადებული, თუ საწვავი გაიაფდება?

ხალხი ნამდვილად ელოდება ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან შეხვედრებს, ელოდება კონკრეტულ წინადადებებს, ელოდება იმედიან სიტყვას და გადარჩენის გზის ჩვენებას.

დარწმუნებით, რომ ნამდვილად ელოდება.

ოპოზიციის მიერ გავრცელებულ სამოქმედო გეგმაში ბოლო აქცია, რომელიც გაიმართება **„იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს“, დაგეგმილია 2009 წლის 9 აპრილს.**

ამ დღეს გამოცხადდება საყოველთაო დაუმორჩილებლობა და „საქართველოს ყველა ქალაქში დაიწყება მჯდომარე, სადღეღამისო, უვადო საპროტესტო აქცია“, რომელიც გაგრძელდება „სააკაშვილის და მისი მთავრობის“ უპირობო გადადგომამდე“.

ჩემის აზრით ეს აქცია უკვე დაწყებულია, რადგანაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლში ზის და აბსოლუტურად არ ემორჩილება არავის (არ ჰყავს არც დირექტორი, არც გამგე და არც მმართველი. პარლამენტი და მთავრობა ხომ „ცალ ფეხზე ჰკიდია“ძ.

წერილის ბოლოს, კი ერთი მცირე „ლიტერატურული გადახვევა“ მინდა გავაკეთო.

მკითხველთა უმრავლესობას, ბავშვობაში ალბათ უტირია „ბიძია თომას ქოხის“ კითხვისას, გმირად მიაჩნდა ჯორჯ შელბი, რომელმაც თავის მონებს თავისუფლება აჩუქა და უკვირდა, თუ რატომ არ უნდოდა ზოგიერთ ყოფილ მონას გათავისუფლება.

150 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბიჩერ-სტოუმ ეს ნაწარმოები შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, ვინც ძალიან ჰგვანან ზემოთ ნახსენებ მონებს.

ეს ის ხალხია ვისაც საკუთარი თავისუფლების გამტკიცებისთვის ბრძოლას, ახალი ბატონის ძებნა ურჩევნია.

ჩემის აზრით, ასეთი ხალხის „აზრზე“ მოყვანა უნდა იყოს ოპოზიციის მთავარი მიზანი, თორემ ზოგიერთის შემყურეს, ისინიც მათი ჯურისანი მგონია.

კარგით, „ლიტერატურას“ გვერდზე გადავდებ და მოკლედ ვიტყვი, რომ დიდი ამბები მოხდა გასულ კვირაში.

მარტო ის რად ღირს, რომ დავიწყებას მიეცემა ცნობილი გამოთქმა „მე რა, ზანგი ვარ?“

კიდევ ბევრი რამე და ბევრი ვინმე მიეცემა დავიწყებას, მაგრამ ეს ნელ-ნელა მოხდება.

მანამდე კი იმედი ვიქონიოთ, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ სახელს არ გადაიკეთებს, „აბოლიციონისტთა ინსტიტუტს“ არ დაირქმევს და ყველაფერი ამერიკულის გადმოღების საბაბით, საქართველოში ჩამოსახლებული რომელიმე „აფროქართველის“ გაპრეზიდენტებას არ მოინდომებს.

**კარგი ტელევიზია იყო „იმედი“, კარგი ნაწარმოები დაწერა ბიჩერ-სტოუმ და კარგი კაცი ჩანს ბარაკ ობამაც...**

**გია გაბრიჭიძე.**

## გაუტიეს!

# ყველანაირი ფობია ფაშიზმისკენ მიმავალი გზაა

***რუსოფობია რომ ჩვენი ხელისუფლების დიდი ხნის მთავარი იდეაა, არახალია, ძველია. იქნებ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი თუ არა საბაბი მაინც, იმ ეროვნული კატასტროფისა, რაც რუსეთის აგრესიის გამო დაგვემართა. ამას წინათ სახალხო დამცველის ოფისში გამართული ინტელიგენციის შეკრებაზე ისიც კი გავიგე, რომ ე. წ. ჯეოსტარის კონკურსზე, ერთ კონკურსანტს უარი სტკიცეს რუსული სიმღერის (რომანსის) შესრულებაზე. შემდეგ ისიც გახდა ჩემთვის ცნობილი, თუ როგორ ახორციელებენ სატელეფონო ტერორს, ამ ბოლო ხანს შექმნილი და ბევრისთვის საყვარელ რადიო „ნაცნობზე“ — რა ამბავია, ამდენი რუსული სიმღერაო.***

რა ჰქვია ამას? რა და, კრეტინიზმდაუნიზმ-იდიოტიზმი! ამის შემდეგ თითქოს რაღა უნდა გაგიკვირდეს კაცს, მაგრამ — არა! „ესენი“ ხომ ჩვენი, ნორმალური ქართველების, გაკვირვება-შოკირების დიდოსტატები არიან! ჰოდა, გამოჩნდა კიდევ ერთი დამსახურებული ნაციონალი პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურის სახით, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოში აღარ უნდა იყოს რუსი მწერლების ძეგლები და მათი სახელობის ქუჩა-სკვერებიო, განაცხადა. და პირველი იერიში პუშკინის ბიუსტ-სკვერზე მიიტანა. ტელეკამერების წინ ამ ამებამ, რომლის უკანაც „განწირული“ ალექსანდრე სერგეევიჩის ბიუსტი შიშისგან ცახცახებდა, ისიც თქვა, სადღაც აქ ლერმონტოვის ქუჩაც არისო. როგორია, ჰა? სადღაც აქ...

თითქოს მოლაპარაკებულები იყვნენო, „გენიოსი“ დეპუტატის ინიციატივას მხარი აუბა რომელიღაც არასამთავრობო, ალბათ უფრო სამთავრობო ორგანიზაციამ, რომელმაც იერიში მოსკოვის და ყოფილი ლენინგრადის, ახალი სანქტ-პეტერბურგის ქუჩებზე მიიტანა და შესაბამისი წინადადებით მიმართა თბილისის საკრებულოს — მოსკოვის პროსპექტს ცხინვალისა დავარქვათ და სანქტ-პეტერბურგისას — ახალგორისო.

სულაც არ ვაპირებთ წიკლაურის დონის ადამიანებთან კამათს. ისე ვიტყვი, ზოგადად, პუშკინი იქნება, ლერმონტოვი თუ სხვები, მათი ძეგლების აღებით თუ ქუჩა-სკვერების სახელების შეცვლით, მათს სიდიადეს არაფერი დააკლდება. მართალია, პირადად მე, პუშკინზე მეტად რუს პოეტებში ესენინი „მევასება“, მაგრამ მაინც ვიტყვი: გაუგებარი და უცნაური იქნება პუშკინის მოკრძალებული ბიუსტის აღება მაშინ, როცა ვერა-ვაკის საზღვარზე „ვილაც“ ტარას შევჩენკოს ძეგლია დადგმული. ახლა უკრაინოფობიაში აქეთ რომ არავინ დამამუნათოს, აქვე ვიტყვი, რომ დიდ რუს მწერლობასთან მით უმეტეს დიდ ქართულთან შედარებით არის ტარას შევჩენკო „ვილაცა“, თორემ...

ასევე არ მესმის ის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ამერიკის ისტორიის მანძილზე ყველაზე, რბილად რომ ვთქვათ, არაპოპულარული პრეზიდენტის — ბუშის ქუჩა გვაქვს, მოსკოვ-სანქტ-პეტერბურგის ქუჩებს რას ვერჩით?

და კიდევ, მტრობა მტრობად იყოს, მაგრამ ცივი ომის დროსაც კი ჩვენს სათაყვანებელ აშშ-ს აზრად არ მოსვლია რუსი მწერლების, იგივე რუსი ერის შეურაცხყოფა. პირიქით, სწორედ მაშინ გადაიღო ჰოლივუდმა „ომი და მშვიდობა“ თუ „ანა კარენინა“.

**დაბოლოს, თუ ფაშიზმია, ფაშიზმი იყოს! სანამ ძეგლების აღებას დავიწყებთ, მოდი, ერთი კარგი ქიაკოკონა დავანთოთ რუსი მწერლების წიგნებით: ტოლსტოი, დოსტოევსკი, ლერმონტოვი, ესენინი, პუშკინი, პასტერნაკი, ბულგაკოვი... მართლაც ძნელია ყველა დიდი რუსი მწერლის ჩამოთვლა. სამაგიეროდ ადვილია ასეთი ცეცხლის ალის გარშემო ველური როკვა და ურაპატრიოტული ქულების ჩაწერა.**

**დავით მხეიძე**

## ინფორმაცია

### მასწავლებლებს ხელფასი გაეზრდებათ

**მასწავლებელთა ხელფასი მომავალი წლიდან 50 ლარით გაიზრდება.**

**ამის შესახებ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, ზრდა ორეტაპიანი იქნება.**

**მგალობლიშვილის ინფორმაციით, დაგეგმილია ვაუჩერული დაფინანსების ზრდაც.**

**რაც შეეხება სკოლებს, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ამ საკითხზე საუბრები დონორებთანაც მიმდინარეობს, პარალელურად, შიდა რესურსის მოზიდვაც ხდება, რათა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არ შეჩერდეს.**

### მცირდება თხევადი გაზის იმპორტი

**თხევადი გაზის იმპორტისგან შემოსავლების შემცირებას ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილი ქვეყანაში მიმდინარე გაზიფიცირებას უკავშირებს.**

**როგორც იობაშვილმა განაცხადა, ხდება თხევადი გაზის ჩანაცვლება ბუნებრივი აირით.**

**თხევადი გაზის იმპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 10 თვეში 2 659 368 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 38%-ით ნაკლებია.**

**რაც შეეხება მაზუთის იმპორტისგან შემოსავლების შემცირებას, იობაშვილის თქმით, ამ საწვავს საქართველოში თითქმის არ იყენებენ.**

**მაზუთის იმპორტიდან შემოსავლები, შარშანდელთან შედარებით, 36%-ით, 487 326 ლარამდე შემცირდა.**

ინტერპრესნიუსი

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

თავის მხრივ, ქართველები ხედავდნენ, რომ მათ უნდა მოახდინონ არჩევანი ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. ქვეყანაში ოსმალო ფაშები ბატონობდნენ, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოიწევდა ნადირი, რომელსაც უკვე დანებდნენ განჯა და ერევანი. ბუნებრივია, ამ დროს ქართველები გულხელდაკრეფილნი ვერ იქნებოდნენ, და ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი რიგი მომდევნო წლების განმავლობაში ისინი იჩენენ გასაოცარ სიმკვირცხლეს, აღგზნებიან, გარემოებათა კვალობაზე, ხან ერთ, ხან მეორე გზას. ამ მათთვის უკვე ნაცნობ პირობებში, ამ, მათთვის ჩვეულ, თუმცა მძვინვარე, კონტრაგენტებთან ქართველები სულაც არ გამოიყურებიან მიამიტ პოლიტიკოსებად, პირიქით, მათი მოხერხება ხშირად ტოლს არ უდებს მათს ვაჭკაცობას და, ბოლოს და ბოლოს, წარმატებათა მზე თანდათან ჰფენს თავის სხივებს მათს მიწა-წყალს.

საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად საინტერესო ფურცლის მთელი დახლართულობის მიუხედავად, აშკარად თვალშისაცემია შემდეგი გარემოება: კახეთი უფრო ადრე და უფრო მტკიცედ იჭერს ნადირის მხარეს, ვიდრე ქართლი. ნადირი ჯერ განჯასთან იდგა; ოსმალებმა საგანგებო რაზმი გაგზავნეს, რათა სპარსელებისგან დაეცვათ კახეთი, მაგრამ ამ რაზმს მუსრი გაავლეს კახელებმა თეიმურაზის მეთაურობით. მისი ვარაუდი (რომ სპარსელები გაიმარჯვებდნენძ სავსებით სწორი გამოდგა. საზოგადოდ, ამ დროს კახეთი ერთსულოვნად უჭერს მხარს თეიმურაზს, თავის კანონიერ და ბუნებრივ მეფეს, რომელიც თურქებმაც ცნეს ამ ღირსებით, და, პირიქით, ქართლი, ვახტანგისა და ბაქარის წასვლის შემდეგ — დავსძენთ, რომ მათი პარტია ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქვეყანაში — უთავკაცოდ დარჩა, არავინ იყო ისეთი, ვისაც ყველანი გაჰყვებოდნენ, და ქართლში ამ დროს პირველი როლები ჰრჩებათ მსხვილ ფეოდალებს. ახალციხის ოლქთან სიახლოვე და სურვილი, არ აჰყვნენ ნადირს, მათ ოსმალებთან დასაახლოებლად განაწყობდა.

როდესაც ოსმალები მთელი აღმოსავლეთ საქართველოდან განდევნეს, სპარსელებმა ქართლში დააყენეს თავიანთი თანამდებობის პირნი, რომელთა შორის იყვნენ ქართული დინასტიის გამაჰმადიანებული წარმომადგენლებიც. საგადამხდელო ძალების უკიდურესი დაძაბულობა, შემზარავი რეკვიზიციები — ყოველივე ეს ხშირად აღაგზნებდა მოსახლეობას საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის, ზოგჯერ ამის პასუხად ნადირის რისხვა დაატყდებოდათ ხოლმე თავს, ზოგჯერ ახერხებდნენ საჩივრებით მიეღწიათ იმისათვის, რომ მათთან კონტროლიორები გაეგზავნათ და ა.შ.

1737 წელს, ავღანეთის ლაშქრობის წინ, ნადირის ბრძანებით სპარსელებმა მუხანათურად შეიპყრეს ქართლისა და კახეთის ბევრი უპირველესი თავადი, აგრეთვე თეიმურაზი. ისინი ყველანი მონაწილეობდნენ ლაშქრობაში და თავი გამოიჩინეს ყანდაღარის აღებისას. შემდეგ, შაჰმა მოითხოვა თეიმურაზის ვაჟი, ახალგაზრდა ერეკლე, რომელიც თან გაიყოლა ინდოეთში ლაშქრობისას. იოლი გასაგებია, რომ ნადირს, მიჰყავდა რა ქართველი დიდებულები, სურდა საიმედო მძევლები ჰყოლოდა.

## II.

მაგრამ მთავარი გართულება ქართველებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ წინ იყო. ოდნავ მოგვიანებით, ნადირის დაღესტნის ლაშქრობის დროს, როცა სპარსელთა მოთხოვნებმა და ზეგარამ უკიდურეს — მაშინდელი პირობებითაც კი — ზომას გადააჭარბა, საქართველოში ყველაფერი დუღდა და გამოდუღდა (საქმე ის არის, რომ ნადირ-შაჰს ბევრი ჯაფა დაადგა მეზობელ დაღესტანში, და საქართველოსთვის ვერ იცლიდაძ. სწორედ მაშინ შეიქმნა ზემო ქართლის თავადთა ლიგა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მძლავრი ფეოდალი გივი ამილახვარი; მართლმადიდებლობის ქომაგი, იმავდროულად ავანტიურისტი, გაქნილი პოლიტიკოსი, თავნება და ძალაუფლებისმოყვარე — საინტერესო ასლი ძველქართველი მაგნატისა.

ყველა, ვინც სპარსელთა მხრივ ჩაგვრით უკმაყოფილო იყო, მის მხარეზე გადადიოდა; მთელი ზემო ქართლი, ქსნისა და არაგვის ხეობები მას ემორჩილებოდნენ. ამილახვარმა თავდაცვის მდგომარეობაში მოიყვანა მთელი არემარის მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეები, მათ შორის, სურამის ციხე; გზავნიდა თავის მსტოვრებს დაღესტანში, აჰყავდა სამსახურში ლეკები, მრავალი ათასი კაცი, რომელთა მთელი პარტიები მიდიოდნენ მასთან თავიანთი ბელადების წინამძღოლობით. ლიგის საპოლიტიკო მნიშვნელობა, ნადირის საწინააღმდეგო მოქმედებისა და ქვეყანაში არეულობის გამოწვევის გარდა, განსაკუთრებით იმაში მდგომარეობდა, რომ ლიგას აშკარად მფარველობდა ოსმალეთი — ეხმარებოდა ხალხით და, განსაკუთრებით, ფულით. ყოველივე ეს უაღრესად სერიოზულ ხასიათს ატარებდა, მეტადრე როცა გამოჩნდნენ შაჰ-ჰუსეინის თვითმარქვია შვილები, ანუ ადამიანები, რომლებიც ირანის ტახტის მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს (უზურპატორ ნადირის საპირისპიროდძ. ამ თვითმარქვიებს მხარს უჭერდნენ სწორედ ოსმალები და ლიგა.

ეს უკანასკნელი უნდა გაანადგურონ, და აი, ნადირი ზედიზედ გზავნის ყაენებს ჯარებით — მაგრამ ვერც ერთი ვერ აღწევს წარმატებას. მის მძვინვარებას საზღვარი არა აქვს. ეს მბრძანებელი კასპიის ზღვიდან ჰინდომდე გადაჭიმული ქვეყნისა იძულებულია, აწარმოოს ხანგრძლივი მოლაპარაკება კაცთან, რომელიც თავის ციხე-სიმაგრეში გამოკეტილია და „შაჰინშაჰისგან" მოითხოვს წერილობითს დაპირებას, არ მიაყენოს მას რაიმე ვნება. ბოლოს და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამილახვარი დათანხმდა მძევლების მიცემას, ნადირმა ბრძანა, ისინი უკან გაეგზავნათ, და სრული დანებება მოითხოვა („ამდენი ქვეყანა ჩემს საბრძანებელში არისო, თქვა ნადირმა, ვის გამოვართვი მზევალი, რომ ეს მზევლით ვიმსახუროთ. თუ ჩემი ბრძანების მორჩილი არისო, ჩამოვიდეს და ბრძანებისაებრ მემსახუროსო და თუ არა ქნას ყოვლის წახდენით წაახდინეთო"ძ.

მაგრამ სპარსელებმა მაინც ვერ მიაღწიეს საწადელს, და მხოლოდ თეიმურაზის ჩარევის შემდეგ, ლიგამ თანდათან იწყო დაშლა. კახეთის გამგებელი მაშინვე მიხვდა, რომ ამ არეულობის ჩაცხრობით იგი ბევრს მოიგებდა, და არც შემცდარა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გივი ამილახვარმა ხატრი ვერ გაუტეხა თამარს, თეიმურაზის მეუღლეს, და მის ნებას დაჰყვა. ამის შემდეგ იგი საპატიო გადასახლებაში მიდის ხორასანს (სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ნადირ შაჰმა, რომელიც თეიმურაზზე იყო განრისხებული, „გადასახლებიდან" გამოიძახა ამილახვარი, რათა საქართველოში გაეგზავნა გამგებლად; მაგრამ ნადირის სიკვდილის შემდეგ იგი სპარსეთში დარჩა, შაჰ-ყული-ხანად იწოდებოდა და, როგორც ყულარაღასი, თვალსაჩინო როლს ასრულებდა სპარსეთის არეულობებში, მერე კი სამშობლოში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა 1754 წელსძ.

ხოლო თეიმურაზმა და მისმა ვაჟმა ერეკლემ ლეკებზე გამარჯვებებით, თვითმარქვიების წინააღმდეგ მოქმედებითა და ქართლში მშვიდობიანობის დამყარებით დიდი სამსახური გაუწიეს ნადირს, რომელიც მათ ხშირად და გულუხვად ასაჩუქრებდა. და, ბოლოს, 1744 წელს ქართლი საბოლოოდ გადაეცა თეიმურაზს, კახეთი — ერეკლეს. მას შემდეგ იწყება მამა—შვილის ერთობლივი მოღვაწეობა სამშობლოს სასიკეთოდ — რაც შეწყდა თეიმურაზის გარდაცვალებით 1761 წელს, როცა ქართლი და კახეთი ერეკლეს სკიპტრის ქვეშ გაერთიანდნენ.

როდესაც ვაკვირდებით ნადირ-შაჰის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ჩვენ ვხედავთ თორმეტივე წლის განმავლობაში ყველა ხერხს, რომლებსაც სპარსული პოლიტიკა მიმართავდა საუკუნეთა მანძილზე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში. გეგონებოდა, ისტორია მეორედ უტარებსო ქართველებს უკანასკნელ გაკვეთილს — შეახსენებს კიდევ ერთხელ, მეტყველი ნიშნებით იმას, რაც მათ ოდითგან იცოდნენ. იარაღის ძალით დაუფლება, აყრა-გასახლება, მართვა სპარსელი ხანების, ქართველი ყაენების მეშვეობით, კანონიერ მფლობელთა აღიარება, უმძიმესი ხარკი ფულით, ნატურით, გადაბირება, მძევლების, ცოლ-შვილის წასხმა — ყოველივე ამას იყენებდნენ, როცა სათანადო გარემოებანი დგებოდა, და როცა არ იყო საკმარისი ზემოქმედების ჩვეული, უფრო ლმობიერი ფორმები.




ნადირის სიკვდილამდე (1747 წ.ძ იძულებული იყვნენ, ეთმინათ მისი ჭირვეულობა.

და მაინც, 1744 წელი ნათელი დღესასწაულია საქართველოს ისტორიაში. განახლდა რიტუალი მეფედ კურთხევისა მცხეთაში, რაიც არ ყოფილა 1632 წლიდან მოყოლებული, როცა ქართლის ტახტზე ავიდა მაჰმადიანი როსტომი (ყოველი სტრიქონი პაპუნა ორბელიანის ქრონიკისა, თეიმურაზის მეფედ კურთხევას რომ ეძღვნება, გამოხატავს ეროვნული და რელიგიური გრძნობების აღმავლობას, რაც ესოდენ დამახასიათებელია XVIII საუკუნის საქართველოსათვის. ამასთან, მკვეთრად იჩინა თავი იმ დროის ქართველთა კონსერვატიზმმა; ცდილობენ აღადგინონ ძველი წესჩვეულებები და რიტუალები, ყველას რომ დაავიწყდა მაჰმადიან მეფეთა ხანაში, მაგალითად, კვლავ დაურიგეს, როგორც სარდლობის ნიშანი, დროშები (ხორუგვებიძ უპირველეს თავადებს ძველი წესისამებრ (საქართველოში, ისევე როგორც ფეოდა-



ლურ ევროპაში, თითოეული კაცი თავისი პატრონის დროშით იბრძოდაძ.

თბილისს მიმავალ ერეკლეს, რომელიც მამის მეფედ კურთხევის ცერემონიაზე მიიჩქაროდა, ლეკები დასხმოდნენ თავს ... აღწერს რა კახეთის მეფის ტრიუმფულ შეხვედრას, ისტორიკოსი აღტაცებას ვერ მალავს „... თქვენმა მზემა, უკეთესი სანახავი კაცის თვალით აღარ ინახებოდა, წითელსა ტაიჭსა და, ქარქაშ ხილფითა. ოქროთი მოჭედილი, წელთა ერტყნეს, კაცს მისი შეხედვა განალიგებდა, სუმბულნი ახლად აშლოდეს, ვარჯნი, მუშკთა მფშვეველნი, თხემთა დაშლოდეს გარემოცვითა, ვარდნი სახლომად გაშლოდეს, ტან-კვიპაროზი გმირ-ფალავინურად აღზრდოდეს, მისთა შემხედთა ზედა მიჯრით ერთი მეორეს გაქონდეს, ქება ყოველთა და ბრძანებათა შინა დაქონდეს: მიზძანდა სარაიათა სამყოფთა მეფისათა, გარდმოხდა ცხენისგან, მოეგებნეს მეფე და დედოფალი, მოეხვივნეს სურვილით, ვითა ძე იყო. მაგრამ მის მეტი ძე არ ესვათ" და ა.შ. როცა კურთხევის ცერემონია დასრულდა, მოდიოდნენ და ულოცავდნენ, დაიწყო ტრადიციული ნადიმი: „... ეგრე განაგებდა რიგთა და წესთა მეჯლიშისათა, შეიქმნა ლხინი, ვითაც ქართლის რიგი ყოფილ იყო ცდილობდნენ გამოჩენასა, ვითა მართებდათ ქართველთა, ეგრე გულ-სრულობით სიხარულს არა დააცადებენ, ამით რომე დიდი ხანი გარდაცვლილ-იყო ქრისტიანი მეფე არ სჯობოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ, ახლა ეს წყალობა მოევლინათ, ქრისტეს მორწმუნე და სარწმუნოება შეურყეველი მეფე დაუჯდათ, ვითაც მართებდათ, დიდნი, ანუ მცირედნი მადლობდნენ ღმერთსაძ.

თითქოს ქვეყანას ახალმა სიომ გადაუქროლა: ძველ საქართველოს კიდევ ესულტკბილება სიცოცხლე: 60 წლის შემდეგ იგი აღარ იქნება, მაგრამ ჯერ ხომ არის, — თანაც, როგორ არის! წინ კიდევ მრავლად იქნება ბრძოლები, მრავლად იქნება სისხლი, გამარჯვებები და დამარცხებები — მაგრამ მალე ეს უზომოდ ეკლიანი გზა დამთავრდება.

## III.

თვალსაჩინო როლი, საქართველომ რომ შეასრულა მეზობელ ქვეყნებს შორის XVIII საუკუნეში, მისი იარაღის წარმატებები, სახელი, ერეკლე II-მ რომ მოიხვეჭა — ყოველივე ეს შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ სპარსეთის ისტორიას დავუკავშირებთ.

ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთი საარაკო ამაღლების შემთხვევაში, დაიწყო უხელმწიფობა, უთავბოლობა, რომლითაც, — ნუ დავუკარგავთ დამსახურებას — დიდის ხელოვნებით ისარგებლეს თეიმურაზმა და ერეკლემ. მათი პოლიტიკის წინაშე ისახებოდა ფართო ასპარეზი ერთურთთან მოქიშპე სადროშოებისა და სახანოების ქაოსში.

თეიმურაზისა და მისი ვაჟის გაერთიანებული ძალისხმევით, მოგვიანებით, ერეკლეს გარჯით, მიღწეულ იქნა ის მნიშვნელობა, საქართველომ რომ შეიძინა აზიის ამ ნაწილის საქმეებში. ნადირის მემკვიდრე, ადილ-შაჰი, თეიმურაზის ნათესავი, დიდი მოწიწებით ეკიდებოდა ქართველებს, რომლებიც, თავის მხრივ, მისი მომხრენი იყვნენ, და კარგად იცოდნენ, რომ ასეთი შაჰის მეფობისას მათი ურთიერთობა სპარსეთთან ნამდვილი იდილია იქნებოდა. მაგრამ ადილმა ერთ წელიწადსაც ვერ გასძლო, ისევე როგორც მისმა მომდევნო „შაჰმა", იბრაიმმა, შემდეგ, ერთი მეორის მიყოლებით, ჩნდებიან ტახტის მაძიებელნი, მეტ-ნაკლები რაოდენობის მიმდევართ რომ ეყრდნობიან, მაგრამ მათი მაძიებლობა ყოველთვის სამკითხავო იყო (სხვათა შორის, შემორჩენილია შაჰ-როჰის ფირმანი, რომლის თანახმად, თეიმურაზს ეზოძა ადერბაიჯანის მთავარსარდლის წოდება. Акты кав. арх. ком., ტ.I, გვ.76. მაგრამ ეს „შაჰი", ნადირის შვილიშვილი, არასდროს არ უცვნიათ სპარსეთის ხელმწიფედ; იგი თითქმის თავიდანვე გაეცალა სატახტო ქალაქს და გადავიდა ხორასანში, სადაც ლამის 50 წელიწადს გამგებლობდა. ეს ფირმანი ნიშნავდა თხოვნას დახმარების შესახებძ. და მხოლოდ ქერიმის, შირაზის ხანის, ზენდების ტომის წარმომადგენლის გამეფებას მოჰყვა შედარებით მტკიცე წესრიგი და მშვიდობიანი ვითარება, ერთი ხანობა დაწინაურდა ავღანელი აზატ-ხანი, რომელიც თავის რაზმელებთან ერთად მოქმედებდა ადერბაიჯანში, მაგრამ ერეკლემ, რომელიც ერევანს ეხმარებოდა, არეზს გადალმა უკუაგდო ავღანელები (ერეკლესა და აზატ-ხანს შორის, ზავის დადებისას, დაითქვა, რომ არც ერთი მათგანი არ განავრცობს ძალაუფლებას არეზს გაღმა. ეს იყო 1751 წელს. შდრ. Watson, A history of Persia etc. p.44. Picault, Histore des revoletions de Perse, p. 1810, ტ.II, გვ. 335ძ.

მოგვიანებით, როდესაც ქერიმ-ხანმა სძლია მეტოქეებს, ზემოთ ხსენებული აზატ-ხანი, ამ მეტოქეთაგან უკანასკნელი, გამარჯვებულ მდევარს გამოექცა, რათა თავშესაფარი ეპოვა ერეკლესთან, მაგრამ გადაცემულ იქნა (ერეკლეს ისტორიკოსი, ომან ხერხეულიძე იუწყება: „...და მოუწერა ქერიმ ხანმან მეფეს ერეკლის ძმობით და სიყვარულით წიგნი: „აზატ-ხან ადერბეჟანის მხრისაკენ წამოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მაინთ გამოჩნდეს სადმე, დაიჭირე და გამომიგზავნე, რომლისათვისაცა ერანზედ დიდი ვალდებულება გექმნებაო". ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა ქნილი ომან მდივან ბეგისგან (ხერხეულიძე).

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 203-211.

## ◉ წარსული და დღევანდელობა

ძველი თაობისა რა მოგახსენოთ და დღევანდელი ახალგაზრდობა ამ კოშმარს ნამდვილად ვერ წარმოიდგენს!

**აი, ასეთი გზა გაიარა ძველმა თაობამ, ჩემო მკითხველო!**

**იმავე, 1937 წლის 24 დეკემბერს,** საქართველოში **შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეების** დაწყებასთან დაკავშირებით თბილისში, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის დარბაზში ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილი **სსრკ საბჭოთა მწერლების** კავშირის მე-5 პლენუმი გაიხსნა.

პლენუმის საზეიმო გახსნას დაესწრნენ საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი **ლავრენტი ბერია** და სხვა პასუხისმგებელი პირები (ვ. ბაქრაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ს. მამულოვი, ნ. კუიბიშევი, პ. შარია, მ. გვიშიანი, კ. ჩარკვიანი).

პლენუმმა **მთელი მსოფლიოს დიდ ბელადს ამხანაგ იოსებ სტალინს** მისასალმებელი წერილი გაუგზავნა, რომლის ტექსტი სსრკ სახალხო არტისტმა ამხ. **ა. ხორავამ** წაიკითხა. **მიმართვა ლექსად გარდასთქვა პოეტმა გიორგი ლეონიძემ** (რომლის ძმის ამბავი ამხანაგმა ლ. ბერიამ ორი კვირის წინ, 9 დეკემბერს თავის მოხსენებაში ახსენა). ეს ლექსად გარდათქმული მიმართვა დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი შაირით, 148 სტრიქონს მოიცავს და ასე მთავრდება:

„ლენინ-სტალინის პარტია წინ გვიძღვის, დიდი **სტალინი!**

იყოს დღეგრძელი ბელადი — შეუდრეკელი **სტალინი!**

მსოფლიოს მშრომელთ იმედი, — გმირთა სიმტკიცე **სტალინი!**

სამშობლოს დროშის გამხსნელი, ხალხთა დამხსნელი **სტალინი!** (იხ. საქ. ალკკ ცკ ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", 1937 წ. №12).

**აი ასეთ საჯარო მასკარადებს მართავდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ი. სტალინის ლოცვა-კურთხევით და დაშინებული საზოგადოება „ხალხის მტრების" (თავისი დედების, მამების, შვილების, ძმებისა და დების) მოსპობა-განადგურების შესახებ ცნობას „მქუხარე ტაშით ხვდებოდა"!...**

* * *

1941 წლის 22 ივნისს, სსრკ-ზე ნაცისტური გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით, ინგლისის ლორდთა პალატაში გამოსვლისას **უინსტონ ჩერჩილმა** ასეთი რამე თქვა: „Нацисткому режиму присущи худшие черты коммунизма" და ამიტომ ჩვენ სსრ კავშირს დავუჭერთ მხარს ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებითო. გამოდის, რომ უ. ჩერჩილს ნაცისტური რეჟიმი კომუნისტურზე უარეს პოლიტიკურ წყობად მიაჩნდა. ამიტომ სსრკ-ს დაეხმარა. დაეხმარა და ძალიანაც ინანა: მთელი დარჩენილი სიცოცხლე კომუნისტებს ებრძოდა.

**მსოფლიოს არც ერთ ყოფილ დიდ მბრძანებელს — ადოლფ ჰიტლერს, ივანე მრისხანეს, პეტრე I-ს (დიდს), ნაპოლეონ I-ს, კიმ ირ სენს, მაო ძე დუნს, ჩინგიზ-ხანს, ნერონს, ცეზარს, ლენინს და სხვ., არ ჰქონია შემუშავებული თავისი ნების განუხრელად განხორციელებისა და ქვეშემდრომებზე მბრძანებლობის ისე სასტიკი, დაუნდობელი, მოქნილი და დახვეწილი, ამასთან, მოჩვენებით სამართლიანობასა და თავმდაბლობასთან ოსტატურად შეზავებული სისტემა, როგორიც ეს ამხანაგმა იოსებ სტალინმა შექმნა!**

**ერთის მხრივ,** თავის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ ის დაუნდობელი იყო და მათ ფიზიკურად ანადგურებდა. „ახალი" სოციალისტური წყობის დამკვიდრება კი ასეთ აზრთა სხვაობას ბუნებრივად იწვევდა, მით უფრო, რომ **ამ „მოწინააღმდეგეთა" უმეტესობა ამხანაგ იოსებ სტალინის ყოფილი თანამებრძოლები იყვნენ,** რომელთა უკან ათასობით მათი მომხრე და მხარდამჭერი იდგა. ი. სტალინმა უკლებლივ ყველა (რამოდენიმე მორჩილი თანამებრძოლის გარდა) დაუნდობლად „გაანადგურა" — დახვრიტა ან „გულაგებში" გაგზავნა, ამასთან, მათი უმეტესობა — სასამართლოს გარეშე, **„სამეულებისა"** და **„ხუთეულების"** გადაწყვეტილებით. ი.სტალინის კვალობაზე ანალოგიურად იქცეოდა მისი „ელიტა", რომელიც მას გარს ეხვია და მის ნებას უყოყმანოდ ასრულებდა.

# არ გვემეტება!



ი. სტალინი ჭკუით და გონებით არა-თუ მთელი თავით, არამედ უსაზღვროდ და უსაშველოდ აღემატებოდა ყველა გარშემო მყოფ მლიქვნელს... რამაც მას განუსაზღვრელი ავტორიტეტი შეუქმნა. ცხადია, მლიქვნელობამ ხელი შეუწყო მისი **პიროვნების კულტის წარმოშობას** (თუმცა როგორც მ. შოლოხოვმა თქვა, **„მართალია, იყო კულტი, მაგრამ იყო პიროვნებაც!"**), რომელმაც მის ირგვლივ მყოფნი, პირდაპირ რომ ვთქვათ, გაათახსირა! ბოლოსდაბოლოს, ეს სისტემად იქცა! მაგალითად, გავიხსენოთ თბილისში ლ. ბერიას მოხსენების დასასრულს გამართული ოვაცია-მასკარადი, ზემოთ რომ ვუჩვენეთ.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ამას ი. სტალინი პირადად არ აქეზებდა. აი, თუნდაც ასეთი მაგალითიც: 1943 წელს, **ი. სტალინის დავალებით და ყოველდღიური ზედამხედველობით** ს. მიხალკოვმა და გ. ელ-რეგისტანმა **სსრკ-ის ჰიმნი** დაწერეს. ტექსტის საბოლოო რედაქტირება კვლავ ი. სტალინმა გააკეთა. ჰიმნი ასეთი სტრიქონებით იწყებოდა: „Союз нерушимый республик свободных **сплотила навеки великая Русь**" (ეს დითირამბი „დიდ რუსეთს").

ჰიმნის ტექსტში კი არის ასეთი სიტყვები: „Сквозь грозы сияло нам сольнце свободы и Ленин великий нам путь озарил. **Нас вырастил Сталин на верность народу, на труд и на подвиг нас вдохновил"**. ი. სტალინმა ჰიმნში დატოვა თავისი მისამართით გამოთქმული ეს სიტყვები, სადაც იგი საბჭოთა ხალხის აღმზრდელად და შრომისა და გმირობის სულისჩამდგმელადაა გამოყვანილი. ეს ხომ თვითგანდიდების (თუნდაც დამსახურებულის!) მაგალითია, რომელიც მანვე წააქეზა.

**საბჭოთა საქართველოს ჰიმნშიც,** რომელიც ასევე 1943 წელს დამტკიცდა (ლექსის ავტორები ალექსანდრე აბაშელი და გრიგოლ აბაშიძე), ტექსტის ყოველ კუპლეტში ი. სტალინი მოხსენებული იყო ამგვარად: **1. „ქვეყანას (სსრკ-ს!) მიეც დიდი სტალინი, ხალხთა მონობის დამამხობელი". 2. „სტალინის სიბრძნემ ძლევით შეგმოსა, გადაგაქცია მზიურ ბაღნარად". 3. „დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს სჭედს სტალინური წრთობის თაობა".**

**მეორე მხრივ, ამასთანავე სოსო ჯუღაშვილი ყველასთვის სამართლიანი და თავმდაბალი იოსებ სტალინი იყო! არავითარი ჰიტლერული „main furer!".**

ორი ასეთი მაგალითი:

**პირველი.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინმა უარი თქვა გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი თავისი ვაჟის ასევე ტყვე გერმანელი გენერალ პაულიუსზე გაცვლაზე და შვილი ფაშისტებს შეატოვა. **ეს იყო მისი უსაშველოდ მაღალი პოსტის შესაფერისი მაგალითი, რომელიც ლეგენდადაა ქცეული!** ამით მან ერთგვარად გიორგი სააკაძის გმირობაც გაიმეორა, თუმცა რუსებისათვის (და არა მარტო მათთვის) მისი საქციელი აუხსნელი დარჩა.

**მეორე.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით, დიდი სამამულო ომის უმძიმეს დღეებში წითელი არმიის, სამშობლოსა და მისი დედაქალაქის დაცვის ხელმძღვანელობისათვის, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული ვაჟკაცობის გამოვლენისათვის, საბჭოთა კავშირის მარშალს **ი. ბ. სტალინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.**

ი. ბ. სტალინმა ეს ცნობა გაზ. „პრავდაში" წაიკითხა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავისი ძველი თანამებრძოლი **მ. ი. კალინინი** თავისთან მიიწვია და აუხსნა, რომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ენიჭებათ მხოლოდ რიგით მებრძოლებსა და მეთაურებს ბრძოლის ველზე გამოჩენილი გმირობისათვის... მაგრამ როგორ შეიძლება ოქროს ვარსკვლავებით მკერდი დავიმშვენოთ ჩვენ, თბილ კაბინეტებში მჯდომებმა? — ჰკითხა სტალინმა. რას იტყვის ხალხი? მე მაქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ეს განა საკმარისი არ არის? ამიტომ მე არ მაქვს მეორე ოქროს ვარსკვლავის ტარების უფლება. მე უარს ვამბობ ამ მაღალი ჯილდოს მიღებაზე, როგორც დაუმსახურებელზე **(ხომ ვერაფრით ვერ წარმოიდგენთ, ასეთი რამე ლეონიდ ბრეჟნევს წამოსცდენოდა!?).**

საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი, რომლებითაც ი. ბ. სტალინი იყო დაჯილდოებული, დარჩა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჯილდოების განყოფილებაში. მხოლოდ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი, პატარა წითელ ბალიშზე დაწყობილი, სკკპ ცკ-ის ორ თანამშრომელს ი. ბ. სტალინის კუბოს უკან მიჰქონდათ.

**ასეთი იყო ამხანაგი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, მტრების მიმართ დაუნდობელი, რთული და წინააღმდეგობრივი უმაღლესი მხედართმთავარი, გენიოსი ორგანიზატორი და დიქტატორი, საცოდავი უსამშობლო ადამიანი, „დიდი რუსეთისა" და ქიმერული საბჭოთა კავშირის დიდ მასშტაბებს მისადაგებული, უტოპიური სოციალიზმის მშენებელი პიროვნება, რომელმაც ამ იდეა-ფიქსს შესწირა მილიონობით ადამიანის („ხალხის მტრების") სიცოცხლე და ყველაფერი პირადიც, რაც კი დაბადებიდან გააჩნდა, თუმცა საკუთარი სიცოცხლის მეტი მას სხვა არაფერი ჰქონია (რამოდენიმე ხელი ღარიბული სამოსის გარდა!).**

**და როგორც საბჭოეთის უსამშობლო ბელადი და იმ ყალბი წარმოდგენის ტყვეობაში მყოფი, რომ კომუნისტური წყობა მალე საყოველთაოდ გაიმარჯვებდა და სახელმწიფო საზღვრები არ იარსებებდა, თავის ყოფილი სამშობლოს მიწებს მარჯვნივ და მარცხნივ საქართველოს მეზობლებს ურიგებდა! თუმცა, „დიდი რუსეთისათვის" სხვათა ტერიტორიების მიმატება არასოდეს არ ავიწყდებოდა"!**

**ამიტომ, საქართველოს დღევანდელი ტრაგედია არა მხოლოდ იმპერიული რუსეთის, არამედ სწორედ ამხანაგი იოსებ სტალინისა და მისი ქართველი თანამებრძოლების სინდისზეცაა!**

**დღეს კი მის სახელს მხოლოდ საქართველოს და ყოფილი საბჭოთა რუსეთის მოსახლეობის უფროსი თაობა ელოლიავება. ქართველს — მისი, როგორც ქართველის, სახელი და გენია ეამაყება, რუსს — კვლავ მისი რკინის ხელი ენატრება (და იმედად ვ. პუტინს შეჰყურებს). ესაა და ეს!!**

**გაივლის დრო და იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახელი კაცობრიობის ისტორიას შერჩება, როგორც სახელი გენიოსი და სწორუპოვარი დიქტატორისა, რომელმაც უტოპიური კომუნიზმის „მშენებლობის" იდეა-ფიქსს მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შესწირა და ფაქტობრივად მხოლოდ ვრცელი რუსეთის იმპერიული ამბიციები განადიდა. ამასთან, სსრკ-ში შემავალი ქვეყნების (რუსეთის ჩათვლით) ნორმალური ისტორიული განვითარების პროცესი დიდი ხნით შეაფერხა.**

**ახლახან, იმ ავბედითი აგვისტოს დღეებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა აშშ-ში კისინჯერი (და ზოგიერთი სხვაც) დაარწმუნა, რომ ქართველებს დღესაც სტალინის მრავალი ძეგლი უდგათ და მის სახელს ელოლიავებიან, რადგან სტალინმა მათ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აჩუქა, რუსეთმა კი ამ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას შეუწყო ხელი. აი, როგორ ახურდავებენ დასავლეთში უსინდისო რუსი აგრესორები სტალინისადმი ქართველების დამოკიდებულებას.**

**ყოველივეს მიუხედავად, საკითხს ქ. გორში ი. სტალინის ძეგლის გადატანისა და მისი სახლ-მუზეუმის დანიშნულების შეცვლის თაობაზე, ნამდვილად არა მგონია ახლა, ამჟამად ამისი გადაუდებელი საჭიროება იყოს. ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს იმ უამრავი ქართველის რწმენას, რომლებსაც მშობლიური გრძნობები გააჩნიათ ამ ჭეშმარიტად გენიოსი დიქტატორისადმი. დადგება დრო და ყველაფერი დალაგდება!**

ამირან გაბისონია.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 211.

## ◉ ინფორმაცია

# „გადავარჩინოთ ბავშვები"

**განათლების მიღების შესაძლებლობა უფრო მეტ უნარშეზღუდულ მოსწავლეს ექნება.**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგიის პრეზენტაცია გუშინ თბილისის მეათე საჯარო სკოლაში განათლების მინისტრმა გიორგი ნოდიამ და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა რობერტ ვილსონმა გამართეს. გიორგი ნოდიას განცხადებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების" მხარდაჭერით შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, ნორვეგიის განათლების მეცნიერებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ინკლუზიური განათლება უკვე დაინერგა თბილისის 15 საჯარო სამოდელო სკოლაში.

დღეისათვის საპილოტე სკოლებში 300-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს. უკვე გადამზადდა 300-ზე მეტი მასწავლებელი. მომდევნო წლებში ინკლუზიური განათლების ქსელში საქართველოს რეგიონების სკოლებიც ჩაერთვებიან.

ინტერპრესნიუსი



## ხედვა უცხოეთიდან

15 აგვისტოს იმავე ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში „დიდი თამაში: მომდევნო რაუნდი. მივესალმოთ მონაწილეებს“ მელიკ კაილანი აანალიზებს: „სანამ ჩვენი ყურადღება იმპერიალისტური რუსეთის ქართული ავანტიურისადმია მიჯაჭვული სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი საქმეებიც არ უნდა დავივიწყოთ. მოსკოვმა ყოველთვის იცოდა, რატომ სჭირდება მას კავკასია. ახლა აშშ-სთვის კავკასიაში რუსული სტრატეგია ისეთ სიმძაფრეს იძენს, როგორც არასდროს მანამდე.

სსრკ-ის არსებობის ბოლო წლებში მოსკოვის ძალას ჩვენ გადაჭარბებულად ვაფასებდით. სამაგიეროდ ახლა, მასში ხომ ნავთობი თავისუფლად, რუსეთის, ირანისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ჩაურევლად მიედინება. ასე რომ მას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. ეს ნავთობსადენი მთელი თავისი არსებობით იმისთვის გვამზადებს, რომ დასავლეთში მოსკოვის ყოფილი კოლონიები თავისი პროდუქციის გაგზავნას თუ მოინდომებენ, ამის განხორციელების უფლება აქვთ ისე, რომ ისინი არავინ დასაჯოს, დასავლეთი კი ამ უფლების გარანტორად გვევლინება. მილსადენთან ერთად საქართველო და აზერბაიჯანი წარმოადგენენ მოწყვლად, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან დერეფანს დასავლეთსა და შუააზიური ქვეყნების ბათუ არ გავატარეთ ზღვარი, შემდგომ ამის გაკეთება უფრო რთული იქნება. ჩვენ ავღანეთის მომავლით და ერაყის სტაბილურობით ვრისკავთ, როცა მოსკოვის კეთილ ნებასა და თეირანის მოლებს ვეყრდნობით. მოგვწონს თუ არა, მაგრამ „დიდი თამაშის“ ლოგიკა და სტრატეგია სწორედ ასეთია“.

* * *

მელიკ კაილანს თავის სტატიაში „სინამდვილეში როგორ დაიწყო კონფლიქტი საქართველოში“ (The Wall Street Journak. 28.08.08) მთავარ მოწმედ მიხეილ სააკაშვილის სიტყვები მოჰყავს. “პრეზიდენტი მეუბნება, რომ ნებისმიერი, ვინც თვლის, რომ მოსკოვი არ გეგმავდა შემოჭრას, რომ სა-



# „ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველო იქნება ისეთი, როგორიც სინგაპური და ფინეთია – პატარა, ქმედითი და პროდუქტიული“...

როგორც ჩანს, სახეზეა ახალი რუსეთის ამბიციების სათანადოდ შეუფასებლობა. ბევრი ვისაუბრეთ რუსული აგრესიის შედეგებზე უკრაინისთვის, ბალტიისპირეთისა და ევროპისთვის ზოგადად. მაგრამ ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება იმ პირდაპირ სტრატეგიულ საშიშროებას, რომელსაც ავღანეთსა და ერაყში ამერიკული ოპერაციისთვის მოსკოვის ქმედება წარმოადგენს. **კრემლი ახალ „ცივ ომს“ აჩაღებს არა რამდენიმე ათასი ოსის სიყვარულის, ან 5 მილიონი ქართველის სიძულვილის გამო.** კრემლი ატარებს სერიოზულ სტრატეგიულ მანევრს. არ გამოგრჩეთ: საუბარია ჩვენი გავლენის სფეროს ყველაზე განმანძილებულ კიდეზე, რომელიც მოსკოვის ძალაუფლებასთან საშიშ ახლოებლობაში მდებარეობს.

კავკასიის რეგიონის განლაგება მოსკოვს სწორედ ამდაგვარი მანევრის ჩატარების უფლებას აძლევს. შეხედეთ რუკას, მასზე ხაზი დასავლეთ-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ-სამხრეთით აზრობრივად გაატარეთ და თქვენ მიხვდებით, რომ კავკასიაში მოსკოვის მიერ გათამაშებულ დრამატულ მოვლენებს იქითკენ მივყავართ, რომ მოსკოვის ჩრდილი აღმოსავლეთსა და სამხრეთზე, შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთზე დაეცემა. საქართველოში განხორციელებული ქმედებებით რუსეთი ჩვენ, დასავლეთის ქვეყნებს გამოგვიწვევს. მაგრამ ეყოფა კი გამბედაობა და სიმყარე დასავლეთის ქვეყნებს იმისთვის, რომ მიღწეულის შენარჩუნება შეძლოს არა მარტო ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ომის დროს, არამედ საბჭოთა რეჟიმის საბოლოო კრახის მერეც?

ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთსა და ირანს შორის განლაგებულია დამოუკიდებელი ტერიტორიების პატარა ზოლი, კერძოდ კი ორი ქვეყნის ტერიტორია – საქართველო და აზერბაიჯანი. მილსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ამ ორ ქვეყანას გაივლის. მას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი საშუალებით ძვირადღირებული ნავთობი აზერბაიჯანიდან თურქეთში ხვდება, იქიდან კი – მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ამ მილსადენს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაკებს, მათ შორის ავღანეთს შორის (ადრე ამ რეგიონს სსრკ აკონტროლებდა). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა აზიის იზოლაცია ავღანეთის იზოლაციას ნიშნავს. გაეცანით იმ ქვეყანათა სიას, რომელიც ავღანეთის მეზობლადაა განლაგებული. ესაა საბჭოეთის ყოფილი კოლონიები, ირანი და პაკისტანი. ერთადერთი მარშრუტი, რომლითაც აზიის სასარგებლო წიაღისეული, მათ შორის თურქმენეთის გაზი და ყაზახეთის მდიდარი ნავთობი, დასავლეთისკენ რუსეთისა და ირანის ტერიტორიისგან დამოუკიდებლად მიდის – ეს არის სწორედ ეს ვიწრო კავკასიური „ყელი“. მოსკოვის ყოფილი შუააზიური კოლონიები - ავღანეთისთვის ყველაზე სასურველი სავაჭრო პარტნიორები არიან. ეს ქვეყნები საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით ადევნებენ თვალყურს. ეს იმაზეა დამოკიდებული მოახერხებენ თუ არა ისინი რუსეთის მხუთავი პყრობისგან გათავისუფლებას, მისაწვდომი იქნება თუ არა მათთვის მსოფლიოს თავისუფალი ბაზარი, თუ ისინი განწირულნი არიან ატარონ კოლონიების ცხოვრების დამღა – თუმცაღა კოლონიებად ქაღალდზე არ იწოდებიან. შორს არაა ის დრო, როცა მოსკოვიდან მოვა დირექტივა ქაბულის იზოლაციის ბრძანებით... მოსკოვი კარგადაა ინფორმირებული, რომ ამიერკავკასიის კორიდორის გადაკეტვით იგი თავისი პოზიციების მკვეთრ გამაგრებასა და ავღანეთის საკითხში ირანის გაძლიერებას მიაღწევს. არა ვარ დარწმუნებული, რომ რომ ეს ცხადად გვესმის, მოსკოვს კი – საკმაოდ კარგად. კრემლის ძალაუფლების გამაგრებას მალე ერაყშიც დაინახავენ. კვლავ რუკას დახედეთ. თუ რუსეთი სამხრეთით ისე გადაიჭიმება, როგორაც ეს საბჭოთა პერიოდში იყო, იგი ირანთან პირდაპირ საზღვარს მიიღებს, ეს კი მას ირანისთვის დასავლეთთან ნებისმიერი დაპირისპირების საკითხში მხარდაჭერის საშუალებას მისცემს. მაშინ ირანი გათავხედდება და ერაყში, სირიასა და ლიბანში „ჰეზბოლას“ საშუალებით უფრო თავდაჯერებულ მოქმედებას დაიწყებს.

ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ყველა ამ პრობლემას და იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი თავისთავად გაიწოვება. მაგრამ მაშინ ჩვენს სისუსტეს ყველა დაინახავს. ახლა საქართველო პროვოკაციას გაუმართლებლად წამოეგო, ცდება. სამხედრო მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება მივიღეთ ბოლო წამს, როცა რუსული ტანკები უკვე მოდიოდნენ და ამიტომ სხვა არჩევანი არ გვქონდა. ინიციატივა ჩვენს ხელში მხოლოდ იმისთვის ავიღეთ, რომ დრო მოგვეგო. ვიცოდით, რომ ვერ გავიმარჯვებდით რუსულ ჯარზე, მაგრამ ვალდებული ვიყავით თავდაცვისთვის რაღაც მაინც მოგვემოქმედებინა... თავდაცვის მინისტრმა დამირეკა და მითხრა, რომ რუსული ტანკების 200 ერთეული ჯგუფდება და ჩრდილოეთ ოსეთიდან ცხინვალში მოდის. თავიდან მე ყურადღება არ მოვაქციე, მაგრამ უკვე ყოველ წამს მოდიოდა ცნობები, რომ ისინი წინ მოიწევდნენ. სინამდვილეში კი მათ თავიანთი რეზერვები რამდენიმე დღით ადრე შეკრიბეს. შემდგომ კი ჩამოგდებული მფრინავებისგან გავიგეთ, რომ ისინი სამი დღით ადრე მოსკოვიდან და სხვა ადგილებიდან გამოიძახეს. ჩვენთან ბოლო წუთებში სადაზვერვო მონაცემები მოდიოდა, მაგრამ მათი ნდობა არ შეგვეძლო. ამას გარდა, ბოლო კვირეებში სეპარატისტებმა ჩვენს ჯარისკაცებზე საარტილერიო სროლებს მოუხშირეს. მე ბიჭებს ყოველთვის ვეუბნებოდი: „შეინარჩუნეთ სიმშვიდე“. რეალურად ჩვენი ჯარების მეტი ნაწილი აფხაზეთთან იდგა, რადგანაც გვეგონა, რომ ნამდვილი ომი იქიდან დაიწყებოდა. აი, რას გეტყვით: თავდასხმა რომ გვდომებოდა, უპირველესად ერაყიდან ჩვენს ყველაზე მომზადებულ ჯარს გამოვიყვანდით. რუსეთმა იცოდა, რომ შემოჭრა მანამდე უნდა განეხორციელებინა, სანამ ერაყში მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ამერიკის ჯარები სხვა მოქმედებებისთვის მოიცლიდნენ. საუბარია არა აშშ-ის სისუსტეზე, არამედ მისი ძალის ზრდაზე. თუ ამერიკა თვლის, რომ ზედმეტად სუსტია იმისთვის, რომ საქართველოს დაეხმაროს, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ – როგორ აღიქვამენ ამას რუსები, რამდენად პატივს სცემენ ისინი ძლიერ აშშ-ს, რომელსაც, როგორც მინიმუმი, თავისი ძალების უნდა სჯეროდეს“.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 211.**

## გლობალიზაცია

***საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში ბოლო დროს აშკარად ჩნდება ახალი რეალიები, რომელთა არსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ეტაპზე, არსებითად, საქმე გვაქვს ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის მსოფლიო ჭიდილთან. ამის თაობაზე ცოტა ხნის წინათ განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სადღეისოდ, პირველად მრავალი წლის მანძილზე, იდეათა ბაზარზე ფასეულობათა სხვადასხვა სისტემასა და განვითარების მოდელებს შორის რეალური კონკურენციის პირობები შეიქმნა.***

# კონკურენტი იდეების ჭიდილი

რუსეთელ პოლიტიკოსთა აზრით ის ფაქტი, რომ დასავლეთი თანდათანობით კარგავს მონოპოლიას გლობალიზაციის პროცესზე, მათთვის კარგი სიახლეა. სერგეი ლავროვის განცხადება დემოკრატიული სამყაროსთვის უსიამო სიურპრიზი იყო, ვინაიდან დასავლეთში მიიჩნევდნენ, რომ აზრთა ამგვარი ჭიდილი ბერლინის კედლის დაცემასთან ერთად დასრულდა, ვინაიდან რასაც რუსეთისა და ვთქვათ, ჩინეთისნაირი ავტოკრატიები „კონკურენტი იდეების“ იარლიყს აკრავენ, დასავლეთში „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებად“ აღიქვამენ. **შედეგი კი ის არის, რომ დასავლეთის ქვეყნებს ყოველთვის გათვითცნობიერებული როდი აქვთ, რომ თავიანთი სიმდიდრისა და ძლიერების გამოყენებით ისინი სხვა ქვეყნებს აიძულებენ მათ ფასეულობებსა და პრინციპებზე გადასვლას.** ვიდრე ახალ წევრებს კარებს გაუღებდნენ და სიმდიდრისა და უსაფრთხოების „ჭერს“ გადააფარებდნენ, ისინი მოითხოვენ, რომ ევროკავშირსა თუ ნატოში შესვლის სურვილის მქონე ქვეყნები ეკონომიკისა და პოლიტიკური მოწყობის ღია მოდელებზე გადავიდნენ. მაგალითად, თავის წიგნში „ისტორიის დაბრუნება და ოცნებათა დასასრული“ რობერტ კაგანი წერს, რომ **„როცა 2007 წლის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ამან ახლო მომავალში საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის პროცესს ზიანი მოუტანა. ამის შედეგად საქართველოს ახლა საკმაოდ არამყარი მდგომარეობა უკავია რუსეთის ავტოკრატიასა და ევროპულ ლიბერალიზმს შორის არსებულ ერთგვარ შუალედურ სივრცეში. საბოლოო ანგარიშით კი თუკი დასავლეთის დემოკრატიები ზურგს შეაქცევენ საქართველოს იგი, უნებლიედ, ალტერნატივის უქონლობის გამო, იძულებული გახდება მოსკოვთან დათმობებზე წავიდეს“.**

რუსეთს ნაკლებად ადარდებს დემოკრატია და ადამიანის უფლებები. მათი საგარეო პოლიტიკა, რომელიც, ასე ვთქვათ, „მოურიდებლობის“ ფუნდამენტზეა აგებული, დედამიწაზე ყველა დიქტატორისთვის მეტად მიმზიდველია. რუსეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის პირობებში, რომელიც ნავთობდოლარების უზარმაზარი ნაკადითაა გამოწვეული, ბოლო დროის რამდენადმე პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, **რუსეთული ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ეკონომიკური განვითარების მათ მიერ არჩეული მოდელი, რომელიც საკმაოდ გახსნილი ეკონომიკასა და დახურული პოლიტიკური წყობილების შერწყმას წარმოადგენს, მრავალი ქვეყნისთვის წინსვლის ერთობ მიმზიდველი ვარიანტი შეიძლება იყოს.** ეს გზა საკმაოდ წარმატებული ავტოკრატიის ნიმუშია და მატერიალური კეთილდღეობის დიდად მაცდუნებელ ვექტორს მიუყვება, რომელიც პოლიტიკურ დათმობებს არ ითვალისწინებს.

**დასავლეთელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტოტალური ომის საშიშროება ნაკლებად არსებობს, მაგრამ ლიბერალურ და ავტოკრატიულ ქვეყნებს შორის მსოფლიო კონკურენცია XXI საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იქნება.** საერთაშორისო პოლიტიკაში არ არსებობს იდეალური ანდა თუნდაც მასთან მიახლოებული სიმეტრია. თანამედროვე ეპოქაში პარალელურად არსებული ორი პოლიტიკური რეალია ანუ ზესახელმწიფოების ქიშპობა, რაც დემოკრატიისა და ავტოკრატიის პაექრობაში გამოიხატება. ძალთა ერთნაირ გადანაწილებას ყოველ-



თვის არ გამოიწვევს. თუმცა ერთი კია: თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ალიანსების ალბათობის გათვლა გაცილებით ადვილადაა შესაძლებელი მართვის სისტემის და არა ცივილიზაციის ტიპის ანდა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

ბოლო წლების განხეთქილებას ავტოკრატიული და დემოკრატიული წყობილების ქვეყნებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობათა არქიტექტონიკისთვის. თავად ტერმინი „საერთაშორისო თანამეგობრობა“ ქცევის საერთაშორისო ნორმებისა და ეთიკის მიმართ ერთნაირ მიდგომას გულისხმობს, რაც სადღეისოდ უდიდეს სახელმწიფოებს ნაკლებად აქვთ. ხოლო რაც შეეხება მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებს, კერძოდ ჩარევის აუცილებლობის, სანქციების შემოღებას ანდა ზოგიერთი სახელმწიფოების დიპლომატიის მეთოდებით იზოლირების მცდელობას, საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც ამას სათავეში ჩაუდგებოდა, სადღეისოდ, ფაქტობრივად, არ არსებობს.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნინო ბურჯანაძე: „მთავრობა ჩვენს ხალხს ატყუებს ომის შესახებ“

## ნინო ბურჯანაძის საუბარი გაზეთ „შპიგელის“ კორესპონდენტთან



**— ქალბატონო ბურჯანაძე, სამი თვე გავიდა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან. როგორია სამხედრო მოქმედებათა ბალანსი თქვენი ქვეყნისთვის?**

— მიუხედავად ამერიკისა და ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარებისა, რისთვისაც ჩვენ მათ დიდ მადლობას ვუხდით, საქართველო იმყოფება უკიდურესად რთულ მდგომარეობაში. საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობის შედეგად მიღებული შეთანხმების საპირისპიროდ რუსეთის ჯარები ჯერ კიდევ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებს გარეთ, ეს ის ოლქებია, რომლებსაც რუსები ადრე არ აკონტროლებდნენ.

**— თქვენ კმაყოფილი ხართ იმით, თუ როგორ ახორციელებენ კონტროლს ევროკავშირის მეთვალყურეები შეთანხმების მოთხოვნების დაცვაზე?**

— ჩვენ კმაყოფილი ვართ. მაგრამ ჩვენ ამავე დროს დავადგინეთ, რომ რუსეთი არ იცავს შეთანხმების ყველა მნიშვნელოვან პუნქტს, რომელთა თანახმადაც ყველა ჯარი უნდა დაბრუნებულიყო თავის ომამდელ პოზიციებზე. ამის ნაცვლად რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქმნის უზარმაზარ სამხედრო ბაზებს.

**— რა გაკვეთილები გამოიტანეს ხუთდღიანი ომიდან რუსეთმა, საქართველომ და ევროკავშირმა?**

— მე არ ვიცი, შეუძლია თუ არა რუსეთს სინამდვილეში აქ რაიმე ისწავლოს. თუ იგი კვლავ მიიჩნევს თავს გამარჯვებულად, შეცდომებს გვერდს ვერ აუვლის. მისი იმიჯისთვის მიყენებული ზარალი მსოფლიოში უზარმაზარია. ამას გარდა, იზრდება მღელვარება კავკასიის ხალხებს შორის, რომლებიც შედიან რუსეთის შემადგენლობაში. იქ იზრდება სეპარატიზმი.

**— გაკვეთილები ევროკავშირისა და საქართველოსთვის?**

— ჩვენ აგრეთვე უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან. რუსეთი — ჩვენი მეზობელია, გვინდა ეს ჩვენ თუ არა. ევროპამ დაუშვა უზარმაზარი შეცდომა, რომ უფრო მკაცრად არ ჩაერია ამ საქმეში ჯერ კიდევ ომამდე. არასწორია ვიქონიოთ იმის იმედი, რომ საქართველო არის შორს და ნაკლებად ეხება ევროპას. ბრიუსელმა ამჟამად უფრო ინტენსიურად უნდა განახორციელოს თავისი „კეთილმეზობლობის ევროპული პოლიტიკა“ საქართველოსთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე მეზობელი კავკასიის ქვეყნების სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ. თქვენ ჩემგან იღებთ ინტერვიუს, როდესაც მიმდინარეობს ჰენრიხ ბიოლისა და ბერტელსმანის სახელობის ფონდების ერთობლივი სხდომა, რომლის ჩარჩოებშიც წამყვანი პოლიტიკოსები რეგიონიდან და ევროპელი დიპლომატები და ექსპერტები განიხილავენ ევროკავშირის მომავალ სტრატეგიას კავკასიაში. ამგვარი ღონისძიებანი ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ამ კვირაში ნიცაში გაიმართება ევროკავშირ-რუსეთის სამიტი. რას ელოდებით მერკელის, სარკოზის, ბრაუნისა და ევროკავშირის ქვეყნების სხვა ხელმძღვანელებისგან?**

— საქართველო უნდა დარჩეს საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის ზედა სტრიქონში. ევროპამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს რუსეთზე, რათა მან გაიყვანოს თავისი ჯარები სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. ამავე დროს ჩვენ გვინდა ერთიანი ევროპა, რომელიც ერთიანი ენით ლაპარაკობს რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსკოვმა მიაღწია თავის მიზნებს. ჩვენ გვსურს, რომ გამარტივდეს სავიზო რეჟიმი, რათა ქართველებს აღარ უჭირდეთ ევროკავშირის ქვეყნებში გასვლა. რატომ აძლევენ რუსეთს ამის ნებას, ჩვენ კი არა?

**— უნდა განაახლოს თუ არა ევროკავშირმა მოლაპარაკება რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ, რაც შეწყდა ომის დაწყების შემდეგ?**

— ევროპა ორჯერ უნდა დაფიქრდეს, თუ როგორ გააფორმოს თავისი ურთიერთობა რუსეთთან და ევროპამ უნდა მოახდინოს თავისი ენერგომომარაგების დიფერენცირება, რათა უფრო ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსეთისგან.

**— თქვენმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ, აგრეთვე თავის გამოსვლაში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ნიუ-იორკში გამოაცხადა „დემოკრატიზაციის ახალი ტალღის შესახებ“ საქართველოსთვის. თქვენ მისი გჯერათ?**

— ეს ლამაზი სიტყვებია, რომელსაც არ ახლავს საქმეები. ერთადერთი კარგი რამ ამაში არის ის, რომ სააკაშვილი ამით დაეთანხმა აზრს — ჩვენ ჯერჯერობით დემოკრატიის დეფიციტი გვაქვს. ღონისძიებანი, რომლებსაც ის ახორციელებს, კოსმეტიკურია. მას სურს შექმნას სიმპათიური ფასადი.

**— თქვენ ეთანხმებით პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ დღეს საქართველომ უფრო წინ წაიწია დემოკრატიულ გზაზე, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების უმრავლესობამ?**

— ეს არ არის არასწორი მტკიცება. სხვათა შორის, ჩვენ უნდა გავუსწორდეთ უფრო მეტად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა პოლონეთი და ჩეხეთი ან სამი ბალტიისპირა რესპუბლიკა.

**— ერთი წლის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძალით დაშალა ოპოზიციის დემონსტრაცია და დახურა ტელეარხი, რომელიც მთავრობას აკრიტიკებდა. სხვათა შორის, დასავლელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასთან საქმე ცუდად როდი გაქვთ ქვეყანაში და რომ თქვენთან სამი ოპოზიციური ტელეარხია. ეს შეეფერება სინამდვილეს?**

— ნებისმიერმა, ვინც ერკვევა საქართველოს სიტუაციაში, იცის, რომ ეს ასე არაა. მე არ ვაპირებ, რომ ნება მივცე საკუთარ მთავრობას კვლავაც ატყუებდეს მსოფლიოს. ჩვენმა ხალხმა დღემდე არ იცის სიმართლე ამასწინანდელი ომის შესახებ. ამიტომ გავუგზავნე პრეზიდენტ სააკაშვილსა და მთავრობას კატალოგი 43 შეკითხვით.

**— მიიღეთ პასუხები?**

— ჯერჯერობით არა.

**— თქვენ ახლახან შექმენით პარტია, რომ შეცვალოთ სააკაშვილი. თქვენი პერსპექტივები, როგორც ჩანს, არ გამოიყურება ვარდისფრად, ოპოზიცია გათიშულია.**

— არ მინდა, რომ გამოვიყურებოდე თავისთავზე შეყვარებულად, მაგრამ მე ჯერჯერობით კიდევ საკმაოდ პოპულარული ვარ. ჩვენ მოვითხოვთ ახალ საპარლამენტო არჩევნებს მომავალი გაზაფხულისთვის.

**მატიას შეპი**

**SPIEGEL**

# კვლავ რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გამო

**უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მსოფლიოში იმდენი რამ მოხდა, რომ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის გეჩვენება დიდი ხნის წინანდელ ამბად. სულ რაღაც სამი თვის წინათ მსოფლიოს აღელვებდა არა მსოფლიოს ეკონომიკის მომავალი, არამედ სისხლისღვრა კავკასიაში და ახალი „ცივი ომის“ ალბათობა.**

მაგრამ საქართველოს ომის შესახებ ყველამ დაივიწყა. კონფლიქტის დაწყების მომენტიდან საერთაშორისო მეთვალყურეები, ჟურნალისტები და სამართალდამცავები მისხალ-მისხალ აგროვებენ სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში აგვისტოში. და დასკვნები, რომლებიც მათ გამოაქვთ, გვიხატავენ სურათს, რომელიც ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც კონფლიქტის დროს გვაწვდიდნენ დასავლელი კომენტატორები. ბოლო მონაცემების შესაბამისად, როდესაც დაცხრა სამხედრო მღელვარება და გამოჩნდა ფაქტები, იკვეთება გაცილებით უფრო რთული სიტუაცია, ვიდრე ადრე მიიჩნევდნენ.

ბი-ბი-სის ჟურნალისტმა ტიმ ვიუელმა, რომელიც უშუალოდ სამხრეთ ოსეთში გაემგზავრა, გადაიღო სენსაციურად დოკუმენტური ფილმი იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა იქ ომის დროს. მოწმეები, რომლებიც არიან მის მასალაში, ამტკიცებენ, რომ ქართული ტანკები და არტილერია მიზანსწრაფულად ანადგურებდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლების ბინებს და ლტოლვილებსაც კი ესხმოდნენ თავს, როდესაც ისინი კონფლიქტის ზონიდან წასვლას ლამობდნენ. თუ ეს სიმართლეა, აღნიშნავს ბი-ბი-სი, მაშინ ამგვარი მოქმედება არის ჟენევის კონვენციის დარღვევა და კვალიფიცირდება, როგორც სამხედრო დანაშაული.

საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა უარყო ყველა ბრალდება საქართველოს მისამართით, მაგრამ ბი-ბი-სი ერთადერთი ხმა როდია დასავლეთიდან, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ქართველების პატიოსნებას.

ბრიტანულ ფილმში გამოდიან აგრეთვე ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს თავდასხმის შედეგად დაიღუპა სამხრეთ ოსეთის 300-დან 400-მდე მშვიდობიანი მცხოვრები.

ამას გარდა ბი-ბი-სის ჟურნალისტები შეეცადნენ შეემოწმებინათ საქართველოს პრეზიდენტის არაერთგზისი განცხადებანი, თითქოს საქართველომ დაიწყო შეტევა მას შემდეგ, რაც მისი საზღვრები გადაკვეთეს რუსეთის ჯარების კოლონებმა. ბი-ბი-სის თანამშრომლები, აგრეთვე სხვა დამოუკიდებელი წყაროები გაესაუბრნენ მოწმეებს, რომელთა შორისაც არიან ისეთები, ვინც უარყოფს საქართველოს ხელისუფლების მიერ ოფიციალურად აღიარებულ მოვლენათა ვერსიას.

ჯერჯერობით არც ერთმა დამოუკიდებელმა წყარომ არ დაადასტურა სააკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ 7 აგვისტოს ჯერ რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი და მხოლოდ მის შემდეგ დაიწყო საქართველოს შეტევა. განსაკუთრებით უცნაურია ის, რომ კონფლიქტის დროს საქართველოს ხელისუფლება ამის შესახებ საერთოდ არაფერს ამბობდა, ხოლო ამ მოქმედებათა მიზნად ასახელებდნენ სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“.

ამას გარდა საქართველო აცხადებდა, რომ შეტევაზე გადავიდა ოთხი ქართული სოფლის დაბომბვის პასუხად. მაგრამ ერთ-ერთი დამოუკიდებელი წყარო ასახელებს დამოუკიდებელი დასავლელი მეთვალყურეების ცნობას, რომლებიც ასევე უარყოფენ ოფიციალურ ქართულ ვერსიას. ეუთოს მისიის მეთვალყურეები ამტკიცებენ: მათ ვერ აღმოაჩინეს რაიმე მოწმობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ეს სოფლები მართლაც თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდა. პირიქით, ისინი ბრალს სდებენ საქართველოს „განურჩეველ და უგუნურ თავდასხმაში“.

უნდა ითქვას, რომ იმ მოვლენათა თანმიმდევრობის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ ომს, ჩვენ მართლაც ცოტა რამ ვიცით. მაგრამ აქაც წამოიჭრება სულ უფრო და უფრო მეტი კითხვები — არა მხოლოდ საქართველოს მოქმედებასთან დაკავშირებით, არამედ დასავლეთისაზეც, როგორც მის საერთო პოლიტიკის შესახებ ამ რეგიონში, ისე დასავლელი საზოგადოებრიობისთვის კონფლიქტის მიზეზების მიწოდებასთან დაკავშირებით. მთავარი უარყოფითი შედეგი აღმოჩნდა რუსეთის შიგნით გავრცელებული დასავლეთის პოზიციის მიუღებლობა. სხვათა შორის, ამ დამოკიდებულებას იზიარებენ ბევრი დასავლელი ინვესტორებიც, რომლებიც კერძო საუბრებში უკანასკნელი სიტყვით ლანძღავენ დასავლელ პოლიტიკოსებსა და პრესას. ჟურნალისტიკაში და ანალიზში ობიექტურობის ტენდენცია მათ აუცილებლად მოეწონებათ. იმედი გვაქვს, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა რუსეთთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პერსპექტივების შესწავლის დროს ყურადღებას მიაქცევს ამ ფაქტებს და აქედან გამოიტანს შესაბამის დასკვნებს.

**ჯეისონ ბუში**

**BusinessWeek**

(რედაქციისაგან: უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).

# საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, დიდი გამოსვლების მიუხედავად როგორც ჩანს, მას გადადგომა არ ემუქრება

**მიუხედავად იმისა, რომ თბილისში განახლდა საპროტესტო აქციები მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და მის ყოფილ მოკავშირეთა შორისაც კონფლიქტი არ გამოიყურება „შეთითხნილად“, მისი მართვის სტილი კი — „ავტორიტარულად“, უახლოეს პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი საეჭვოა, რომ გადააყენონ თავისი პოსტიდან. როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი მიიჩნევს, ამაში დამნაშავეა ერთიანობის უქონლობა ოპოზიციის რიგებში, რუსეთთან ახალი შეჯახების შიში და მხარდაჭერა, რომელიც სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს.**

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის ანალიტიკოსმა ჯონატან კალისმა განაცხადა: „დაე იყოს ჩვენს წინაშე ადმინისტრაცია, რომელსაც დიდად აღარ უჭერენ მხარს უცხოელი მოკავშირეები და კეთილმოსურნეები, მაგრამ მე არა მგონია, რომ სააკაშვილი დღეებს ითვლიდეს თავის სავარძელში. გასულ პარასკევს თბილისში გაიმართა პრეზიდენტის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, მაგრამ ამჯერად ქალაქის ქუჩაში გამოვიდა გაცილებით ნაკლები ხალხი, ვიდრე ერთი წლის წინათ, როდესაც გამოსვლები მკაცრად იქნა დათრგუნული, აღნიშნავს გაზეთი.

ოპოზიციისთვის ამ არადამაიმედებელ სიგნალს ადასტურებს ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის სექტემბრის გამოკითხვა, რომლის შედეგადაც სააკაშვილის რეიტინგი 34 პროცენტიდან (თებერვალშიძ გაიზარდა 52 პროცენტამდე.

მაგრამ აქ საქმე სააკაშვილის პოპულარობის ამაღლებას კი არ შეეხება, არამედ ოპოზიციის უსუსურობას — ჩამოაყალიბოს გასაგები, ხალხისათვის მიმზიდველი იდეა, მიაჩნია ანალიტიკოს ანა ელენკოვიჩს.

**მეტ ზიგელი**

**The Washington Post**

◉ თავისუფალი ვაჭრობა

***ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ამერიკიდან და ევროპის ქვეყნებიდან საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შემოღების პერსპექტივაზე, რასაც ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის კონკრეტულ ნაბიჯებს უკავშირებს. ვერ გეტყვით რამდენად წარმატებული აღმოჩნდება საქართველოსთვის ასეთი ვაჭრობა, თუმცა ჩვენს უახლოეს მეზობელ თურქეთთან ურთიერთობაში ამის პრეცედენტი უკვე შეიქმნა — 1 ნოემბრიდან ამოქმედდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველოსა და თურქეთს შორის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტირებისას საბაჟო გადასახადები უქმდება.***



# ვინ დარჩება მოგებული და ვინ - წაგებული?

## თურქული პროდუქცია იაფია, მაგრამ უგემურია

ვინ დარჩება მოგებული და ვინ — წაგებული მსგავსი ნოვაციური სავაჭრო ურთიერთობით, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ მანამდე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ ნიშანდობლივ ფაქტზე, რომელსაც ამ ორი დღის წინათ დედაქალაქის ერთ-ერთ აგრარულ ბაზარზე გადავეყარე. რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი, ხელჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცი დახლზე დახვავებული კარტოფილის გამყიდველს ეკითხება:

— როგორ ყიდით, ქალბატონო, ამ კარტოფილს?

— მსხვილს ლარნახევრად მოგართმევთ, ბაბუ, შედარებით წვრილს — ლარად და 20 თეთრად.

— აბა რას ამბობთ, — უკმაყოფილებას ვერ მალავს მოხუცი, — ორიოდ დღეში ფასი ასე სწრაფად ავარდა?

— მაშ როგორ, დოლარი რომ ავარდა, აბა ფასები იგივე დარჩებოდა? თანაც თურქული ხო არ არი, ახალციხის უგემრიელესი კარტოფილია.

— ახალციხისა როა, მაგიტო გეუბნები, შე დალოცვილო, — არ დაიზნა ბერიკაცი, — კარტოფილი ლარებში გაქვს ნაყიდი, დოლარებში ხო არა?

— საქმეც მაგაშია, ბაბუ, დოლარის კურსმა რო აიწია, ლარი იმიტომ გაუფასურდა.

— ეჰ, — ამოიოხრა მოხუცმა, — ამ ლარისას ვერაფერს გაიგებ კაცი, როცა მყარდებოდა, მაშინაც გაუფასურებული იყო და ახლა რაღა დაემართება?

ესა თქვა, ხელჯოხი მოიმარჯვა და მეზობელ დახლთან გადაინაცვლა. მე დრო ვიხელთე და გამოველაპარაკე.

— აქ რა, იაფად მოგცემენ? — დავინტერესდი.

— ჰო, ეს თურქულია და კილოზე ერთი ოცდაათი თეთრის ეკონომიას მაინც გავაკეთებ.

—სამაგიეროდ გემოს რომ ვერ ჩაატანთ?

— გემოს ვილა ჩივის, ჩემო კარგო, ეს 70 ლარი პენსია თუ ყველაფერს არ გავაწვდინე, საერთოდ მშიერი დავრჩები.

— რა ყველაფერს?

— დენის, გაზის, წყლის გადასახადს, წამლებს და კიდევ რას აღარ. მერე რა ფასები ადევს წამლებს, არ იკითხავთ? მარტო გუტალაქსში 15 ლარს ვიხდი.

— გუტალაქსში?

— ჰო, ყაბზობას შველის. ცარიელა პურისა და კარტოფილის ჭამამ დამმართა ეს ავადმყოფობა. ბედის ირონიას რა ვუთხარი, ამ ჯიბეგაფხეკილ ბერიკაცს ხშირად საკვების მონელებაში უფრო მეტი მეხარჯება, ვიდრე მის შეძენაში (!ძ.

— ამაშიც მთავრობას ხომ არ ადანაშაულებთ?

— არა, რას ამბობთ, ტელევიზორიდან სულ ის მესმის — მიშა მაგარიაო. ალბათ, ასეც არის, ეს მე და ჩემნაირები ვართ მოფამფალებული, თორემ...

აღარაფერი მიკითხავს, ბაზრიდან რომ გამოვედი, ქუჩაში პირთამდე კარტოფილით სავსე ტრაილერს მოვკარი თვალი და მეც იქითკენ გავწიე. თურქი მძღოლი, რომელიც ქართულს კაი გვარიანად ამტვრევდა, ვილაც აქაური ვაჭრისთვის კარტოფილის ბითუმად შესაღებას ცდილობდა.

— კაცო, — ჩავერიე საუბარში, — ეს თურქები რანაირად ახერხებთ, რომ თქვენებურ ჭირნახულს აქაურ ბაზარზე ჩვენზე იაფად ჰყიდით?

— ჭკვიანები ვართ და ვახერხებთ, — თავი მოიწონა თურქმა, — ჩვენთან დიდი მოსავალი მოჰყავთ და იაფადაც რომ გავყიდოთ, მაინც მოგებულები ვრჩებით.

— მერე ტრანსპორტის ხარჯები? ამდენი ბენზინი რომ იწვება, რით ინაზღაურებთ?

— ისევ კარტოფილით. იქაურ საქონელს აქ რომ ჩამოვცლი, მერე მანქანას ქართული კარტოფილით ვტვირთავ და თურქეთში ვასაღებ.

— იყიდება?

— იყიდება რომელია, ავტომანქანა ჯერ გაჩერებული არა მაქვს, რო მუშტარი უკვე მეხვევა. ვინც ქართული კარტოფილის გემო იცის, მის შესაძენად ფულს როგორ დაიშურებს.

ასეა, თურქი ბიზნესმენები დღემდე საკუთარ ბაზარზეც მოგებული რჩებოდნენ და ჩვენსაზეც, მაგრამ როგორ განვითარდება ეს პროცესი მას შემდეგ, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაში საბაჟო გადასახადები გაუქმდა და ის თავისუფალი გახდა? ამის თაობაზე საქართველოში აზრი ორად იყოფა.

ჩვენი მეზობელი თურქეთი დიდი ქვეყანაა, ამბობენ ერთნი, მას 70-მილიონიანი ბაზარი აქვს, რაც თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ჩვენს მწარმოებლებს საშუალებას მისცემს იქ შეუზღუდავად, საბაჟო გადასახადების გადაუხდელად, შეიტანონ ქართული პროდუქცია — წვენები, კონსერვები, ღვინო, ციტრუსები, კარტოფილი, სხვა პროდუქტები და კარგი მოგებაც ნახონ. თუმცა აქვე, ამის პარალელურად, ჩნდება საპირისპირო აზრიც, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ამ უკანასკნელთ უჩნდებათ საფუძვლიანი შიში იმის თაობაზე, რომ ადვილი შესაძლებელია, ისედაც იაფ, ამჯერად უკვე უბაჟო თურქულ პროდუქციას ქართულმა პროდუქტმა კონკურენცია ვერ გაუწიოს და დამარცხდეს. ქართული ბაზარი ისედაც გაჯერებულია თურქული პროდუქციით და თუ მას საბაჟო აღვირი მოეხსნება, ხომ შეიძლება მთლიანად გადაგვთქეროს?

ავიღოთ, მაგალითად, ხორბლისა და ფქვილის წარმოების სფერო, რაშიც თურქეთს თვალსაჩინო მიღწევები აქვს. მარტო ის ფაქტი, რომ თურქეთი ფქვილის ექსპორტის ხაზით მსოფლიოს ქვეყნების პირველ სამეულშია, ბევრის მანიშნებელია. ამიტომ დარგში მომუშავე მეწარმეებსა და სპეციალისტებს არც თუ უსაფუძვლოდ ეპარებათ ეჭვი, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებამ, შესაძლოა, ხორბლის, ფქვილისა და სათესლე მარცვლეულის წარმოებაში პრობლემები წარმოქმნას.

გულდამშვიდების საბაბს არ იძლევა მეკარტოფილეობის დარგიც, რომელიც საქართველოში ერთგვარად ტრადიციულია. მართალია ადგილობრივი წარმოების კარტოფილი გაცილებით გემრიელია, ვიდრე თურქული, მაგრამ იმდენად მწირია დარგის მოსავლიანობა, რომ ის მეზობელთა ნახელავს კონკურენციას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუწევს. საკუთარი თვალით არ ვუყურებთ, წლების განმავლობაში თურქული კარტოფილი საქართველოს ბაზარზე მთელი 10-15 პროცენტით იაფია, მაგრამ ამ მაჩვენებელს ვერა და ვერ გადავაბიჯეთ.

მიზეზი? მიზეზი ერთადერთია — საქართველოში აგრარული სექტორი უკვე 18 წელია ბედის ანაბრად მიგდებულია, არავინ ზრუნავს მისი აღორძინება-განვითარების, დარგში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვისათვის. ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის საექსპორტოდ მომზადება, მსოფლიო სტანდარტებამდე მიყვანა და რეალიზაცია მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აღემატება. მთავრობა კი იმის მაგივრად, რომ დარგს მიხედოს, მისი მოსავლიანობისა და ხარისხის ზრდისთვის იზრუნოს, თავისუფალი ვაჭრობის განვითარების ილუზიური შესაძლებლობებით იკვებება.

**ტრაბახი? იცოცხლე, ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში ბადალი არ მოეძებნება. მაგრამ რად გინდა რა, ტრაბახის ხაზით ხომ საერთაშორისო ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციები არ იმართება. ღმერთი, რჯული, ასეთი ასპარეზობები რომ იმართებოდეს, ჩვენს ქარიმთქნარია მთავრობას წინ ვერავინ გადაუხტებოდა!**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ბლეფი

# „გრანდიოზულიდან" „უპრეცედენტო" ამნისტიამდე



***დღეისათვის საქართველოს ყველა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 24 ათასამდე პატიმარი იხდის სასჯელს. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში თუ რა მდგომარეობაა, საზოგადოებისთვის ცნობილია. ამასთან დაკავშირებით (პატიმართა რაოდენობის გეომეტრიული პროგრესის ზრდის გამო) იურისტები, ადვოკატები, მეცნიერები, მედიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კარგა ხანია ხელისუფლებას წინადადებას აძლევდნენ გამოეშვა ამნისტია, შეემცირებინათ პატიმართა რაოდენობა, გაეუმჯობესებინათ მდგომარეობა ციხე-კოლონიებში დარჩენილთათვის... მაგრამ ამაოდ „ვარდებით" მოსულებმა ამნისტია პიარ კამპანიად გამოიყენეს და ისიც მხოლოდ დაპირებებით.***

**„ნაცმოძრაობის" უმრავლესობით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა შარშან გამოაცხადა „გრანდიოზულად" წოდებული ამნისტია, რომლის მიხედვითაც თავისუფლებაზე უნდა გამოსულიყო 3 ათასზე მეტი პატიმარი (ამას გვპირდებოდნენ უმრავლესობის ლიდერები).** ყოველივე ხალხის გულის მოსაგებად და ხმების მოსაპოვებლად გაკეთდა. — აცხადებენ იურისტები და იქვე დასძენენ, რომ შეღავათები შეეხოთ ისეთი მუხლებით გასამართლებულთ (გემის კაპიტნის მიერ გემის მიტოვება, სპორტული ღონისძიებების დროს მსაჯის მოსყიდვა, ცხოველების წამება და ა. შ. რომელთათვისაც საქართველოში სასჯელს პრაქტიკულად არავინ იხდის. მართალია, ამნისტია სხვა შედარებით მსუბუქად დაკვალიფიცირებულ მუხლებსაც შეეხო, მაგრამ მათ გამო ჩვენს საპატიმროებში 200 კაცზე მეტი არ იხდიდა სასჯელს. ამნისტიასთან დაკავშირებით ბლეფი ხელისუფლებას შარშან გაუვიდა, მაგრამ წელს სხვა სიტუაციაა. სახეზეა მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილების ზრდა, წაგებული ომი, უსახლკაროდ დარჩენილთა და დევნილთა მიმართ სრული უგულისყურობა და მათთვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარებების და თანხების არამიზნობრივად ხარჯვა, მითვისება, მოსალოდნელი საპროტესტო აქციები და ა. შ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად ხელისუფლებამ ნაცად მეთოდს — ამნისტიას მიმართა, რომელიც მისმა იდეოლოგებმა „უპრეცედენტოდ" მონათლეს.

* * *

**ახალი ამნისტიის უპრეცედენტობის პირველ ნიშანს იურისტები იმაში ხედავენ, რომ მისი დაბადების იდეის თაობაზე საზოგადოებას პირველად არა იუსტიციის, არამედ შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ამცნო.**

„უპრეცედენტოს" უპრეცედენტობის ნიშანია ისიც, რომ 23 ნოემბრის ამნისტიის შესახებ საუბარი „ნაცმოძრაობის" აქტივისტებმა ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში დაიწყეს. თუმცა, ექსპერტების გასაკვირად ორატორები არ აცხადებდნენ კონკრეტულ მუხლებს, რომელთათვის გასამართლებულთ შეეხებოდათ შეღავათები. ისინი მხოლოდ ზოგადად საუბრობენ მათზე (მსუბუქი სახის ეკონომიკური, გაუფრთხილებლობით ჩადენილი, ნარკოტიკების მოხმარებისთვის, ქალთა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე სახის დანაშაულებიძ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამნისტიის არა თუ მუხლობრივი, არამედ ზოგადი განხილვაც არ შემდგარა. ყველასთვის უცნობია სპეციალისტების, ექსპერტების და ა. შ. მოსაზრებები, რეკომენდაციები, შენიშვნები წინადადებები. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი აზრით არავინ დაინტერესებულა, ისინი არავის მოუწვევიათ არც განხილვაზე და არც შედგენაზე.

იხ. 11 გვ.

ფეხბურთი

## საკვალიფიკაციოსთვის ემზადებიან

**საქართველოს 19 წლის ფეხბურთელთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ზაურ სვანაძე) მონდომებით ემზადება ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, რომელიც 22 ნოემბრიდან კვიპროსში გაიმართება.** მომდევნო რაუნდში გასასვლელად მასპინძლებთან ერთად ქართველებს მეტოქეობას გაუწევენ ჩეხები და დანიელები. ტურნირზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **მეკარეები** – გიორგი მაკარიძე და ამირან კოტრიკაძე, **მცველები** – დათა რიგვავა, ლევან კაკუბავა, გიორგი გეთიაშვილი, გიორგი კაჭკაჭიშვილი, გიორგი სარაჯიშვილი, გიორგი გამრეკლიძე, **ნახევარმცველები** – გიორგი სალარიძე, ირაკლი კვეკვესკირი, თემურ შონია, თორნიკე თარხნიშვილი, ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ირაკლი ხუციძე, **თავდამსხმელები** – ირაკლი შეყილაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი, ზვიად ქანთარია და ხოკერაშვილი.



ზაურ სვანაძის ნაკრები დღეს იტალიაში გაემგზავრება და საკურორტო ქალაქ მონტე კანტინიში დაბინავდება. იქვე ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს. 19 ნოემბერს ჩვენები კვიპროსში ჩავლენ და 22 ნოემბრიდან შეჯიბრებაში ჩაებმებიან.

კრივი

## თითო მოგება და წაგება



**ლივერპულში გრძელდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მხოლოდ ორი ქართველი სპორტსმენი ჩაება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის საელჩომ კახა ქვანიას და ლევან ღვამიჩავას ვიზა არ მისცა.**

კობა ფხაკაძემ (60 კგ.) პირველი წრის პაექრობაში სომეხ არა პულუზიანს მოუგო 7:6, რევაზ ქარელიშვილი (81 კგ.) კი სტარტზევე დამარცხდა.

ჩოგბურთი

## კორტზე არიან ქალები



**მალიორკას (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა 16 წლის ქართველი ჩოგბურთელი ეკა გორგოძე, რომელმაც პირველ წრეში ასპარეზობის ფავორიტი ანა ფლორისი დაამარცხა.** საქმე ის არის, რომ ჩოგბურთელთა რეიტინგლისტში ეკა მეშვიდეზეა, ანას კი 240-ე ადგილი უკავია. გორგოძემ ტურნირზე მეორე მეტოქეც დაამარცხა, თუმცა მეოთხედფინალში უკრაინელ კატერინა ავდიენკოს (595) დანებდა – 4:6, 6:2, 3:6.

მინსკის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი – 50 ათასი დოლარი) პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა მანანა შაფაქიძემ, რომელმაც რუს მარია ჟარკოვას სძლია – 7:5, 3:6, 6:4.

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა შორის 18 წლის ანა ტატიშვილი ლიდერობს – იგი მსოფლიო რეიტინგში 168-ეა. მეორე ადგილზეა მაკა ჩახნაშვილი – 221-ე (არადა, 2006 წელს 153-ე იყო), სოფიო შაფათავა (255-ე) მესამე ადგილზეა.

ინტერნეტიდან

### ობამა — ფეხბურთელი?

**ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატი ბარაკ ობამას გამარჯვებამ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელს მსოფლიოში, მან ნამდვილი „ობამომანია“ წარმოშვა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებით კი – კენიაში, სადაც ახლაც ცხოვრობს „ახალგამომცხვარი“ პრეზიდენტის ბებია. არჩევნების შედეგების გამოცხადების მეორე დღე გამოცხადდა დღესასწაულად, ფიქრობენ, რომ რამდენიმე ქუჩას მისი სახელი უწოდონ. ამის გარდა, ქვეყანაში ძალზე მოდურად იქცა ახალდაბადებულთათვის სახელად ბარაკასა და ობამას დარქმევა. თუმცა სულ ეს როდია.**



ესპანეთში, სადაც აშშ პრეზიდენტის ბევრი მოგვარე ცხოვრობს, ჟურნალისტებმა დაიწყეს მათი ძიება ფეხბურთელთა შორის, ყურადღებას არ აქცევენ, თუ რა დონეზე თამაშობენ მათი გუნდები. მაგალითად, მესამე დივიზიონის გუნდში „ხუმული“ მიაგნეს 23 წლის ფერნანდო ობამას. რაც მთავარია, ის გარეგნულადაც ძალზე წააგავს თავის ამერიკელ მოგვარეს. მართალია, მისი გუნდი გათამაშებაში მხოლოდ მეოთხე ადგილზეა, ხოლო ის გამოირჩევა მხოლოდ სიმაღლითა და ფიზიკური მონაცემებით, რასაც ვერ ვიტყვით მის ოსტატობაზე და თაყვანისმცემელთა სიმრავლეზე. თუმცა „თითით საჩვენებელი“ მაინც გახდა თავისი ამერიკელი სეხნიის წყალობით. ძებნა გრძელდება.

### ოქტომბრის სიმბოლური

**ევროპის სპორტულ გამოცემათა ასოციაციამ (ESM), ტრადიციულად, გამოაცხადა ფეხბურთში ოქტომბრის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით.**

აი, ვინ გამოარჩიეს სპორტულმა ჟურნალისტებმა: **ადლერი** („ბაიერნი“ – 3 ხმა), **მაიკონი** („ინტერი“ – 3), **ტერი** („ჩელსი“ – 5), **კარაგერი** („ლივერპული“ – 5), **ჯოვანი** („ჰალ სიტი“ – 4), **ჰავი** („ბარსელონა“ – 4), **გამშიკი** („ნაპოლი“ – 4), **ვილია** („ვალენსია“ – 5), **რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ – 5), **ეტოო** („ბარსელონა“ – 7), **იბიშევიჩი** („ჰოფენჰაიმი“ – 5).

### ვინ იქნება წლის საუკეთესო?

**მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) დაასახელა იმ სპორტსმენთა გვარები, რომელთა შორის უნდა გამოირჩეს ორი კანდიდატი (ქალი და კაცი), ვისაც მიენიჭება მთავარი ჯილდო „წლის საუკეთესო მძლეოსანი“. დაჯილდოების ცერემონია კი 23 ნოემბერს გაიმართება გალა-საღამოზე. ყველა კანდიდატი პეკინის თამაშების ოქროსმედალოსანია.**

ქალთა შორის ამ საპატიო წოდების კანდიდატებად დასახელებულნი არიან: მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, რუსეთელი ელენა ისინბაევა, ოლიმპიური ჩემპიონი 5 ათას და 10 ათას მეტრზე სირბილში, ეთიოპიელი ტირუნეშ დიბაბა და 800 მეტრზე მორბენალი, 2008 წლის „ოქროს ლიგის“ ჯეკ-პოტის მფლობელი, კენიელი პამელა ჯელიმო.



ვაჟთა შორის კი გამოარჩიეს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ორ სპრინტსა და ესტაფეტაში, იამაიკელი უსეინ ბოლტი, თარჯრბენის დიდი სპეციალისტი, კუბელი დიარონ რობლესი, სახელგანთქმული მორბენალი, პეკინში ორი ოქროს მომპოვებელი 5-ათას და 10-ათას მეტრზე სირბილში, ეთიოპიელი კენენისა ბეკელე.

კანდიდატები შეარჩიეს ინტერნეტ-გამოკითხვის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობდა 493 353 მძლეოსნობის მოყვარული.

### რონალდუ „დედიკოს ბიჭიკოა“?!

**როგორც ამბობენ, სიყვარული ისევე სწრაფად მიდის, როგორც მოდისო (ერთის ნახვით შეყვარებაც იგულისხმება?). ეს განსაკუთრებით ეხება შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს და განა მარტო იმათ? თუნდაც ის სასიყვარულო ისტორია, ამ ზაფხულს რომ დამთავრდა, თანაც მთელი ქვეყანა რომ აალაპარაკა.** იგულისხმება თანამედროვე ფეხბურთის პორტუგალიელ-მანჩესტერელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ და მისი ახლა უკვე ყოფილი „გულისვარდი“, მოდელი ნერეიდა გალიარდო. ლამაზმანს არასგზით არ შეუძლია აპატიოს ფეხბურთელს ის, რომ მიატოვა, არა და რა ტკბილად იყვნენ. ახლა უკვე „მარტოხელა“ რონალდუ წამდაუწუმ იცვლის „დობილებს“, გალიარდომ კი მსოფლიოს მოსდო, თუ როგორი თავის თავზე შეყვარებულია კრიშტიანუ: „დღეში სულ ცოტა ორჯერ ღებულობს აბაზანას, შემდეგ ტანს იზილავს სპეციალური ლოსიონით, ძალიან ზრუნავს თავის სხეულზე. კრიშტიანუს მხოლოდ თავისი თავი უყვარს. ის ყველაფერში თავის დედას უსმენს და გასაკვირიც არ იქნება, თუ ცოლსაც ის მოუძებნის“, – განუცხადა ლამაზმანმა ჟურნალისტებს. ჩვენ არ ვიცით, რას უყვება ის თავის დაქალებს, სექსსიმბოლოდ აღიარებულ ფეხბურთელთან ინტიმურ ურთიერთობებზე რომ ელაპარაკება.



წიგნები სპორტზე

## ბარაქიანი შემოდგომა

**მაინც, რამდენს ასწრებს ჩვენი ძვირფასი კოლეგაო – გადმომილაპარაკა ამას წინათ ვაჟა დანელიას ნიჭის ერთმა დამფასებელმა.**

ჭეშმარიტად! წელიწადი არ გავა, სპორტული თემატიკისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებით რომ არ გაგვიმდიდროს წიგნის თარო სეოკ-ის კონკურსების გამარჯვებულმა, რომელიც სამ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა.

ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, „დილის გაზეთის“ სპორტის განყოფილების რედაქტორი, ამჟამად – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი – ასეთი გახლავთ ბატონი ვაჟას და ქართული პრესის თანამშრომლობის რამდენიმე ეპიზოდი.




ღირსების ორდენის კავალერი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ 2002 წელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად დასახელებული კალმოსანი ათენის ოლიმპიურ თამაშებზეც იყო მივლინებული.

სენაკის რაიონის სოფელ ნოსირის მკვიდრი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ლექციებს კითხულობს ილია ჭავჭავაძის (ყოფილი სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მშობლიური ენის თავანკარობას აზიარებს სტუდენტებს.

მართლაც, რამდენს ასწრებს, არა?

* * *

**საქართველოს ათლეტებისათვის არნახული წარმატებებით გამორჩეული 2007 წლის სპორტულ სეზონს ეძღვნება ვაჟა დანელიას მორიგი წიგნი „სარბიელის მარბიელნი“, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული ავტორის, ალექსანდრე კოტორაშვილის, ელდარ მალხაზიშვილის, ბადრი კეთილაძის, ნუგზარ სუარიძისა და რესპონდენტთა საოჯახო ალბომების ფოტოებით.**

აღნიშნული გამოცემის ფურცლებზე მოთხრობილია „ჯვაროსან ძიუდოისტთა, მოჭიდავეთა, სამბისტთა, მორაგბეთა და სხვა სახეობათა წარმომადგენლების საამაყო გამარჯვებებზე. აქვე იხილავთ მასალებს იმ ვეტერანებზე, რომლებმაც გასულ საუკუნეში ასახელეს სამშობლო.

დავძენთ, რომ ამ წიგნში დაბეჭდილი მასალები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა გაზეთებში „ლელო“ და „საქართველოს რესპუბლიკა“.

* * *

**საქართველოს და სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი, 120-ზე მეტი სპორტის ოსტატის დამფრთიანებელი დამერლანდ (დათო) დავითაია წლების განმავლობაში სათავეში ედგა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს.** მისი რჩევადარიგებები არაერთხელ მიუღიათ ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს, მათ შორის ვახტანგ ბლაგიძეს, თეიმურაზ აფხაზავას, მიხეილ სალაძეს, თემურ ყაზარაშვილს, გურამ გედეხაურს, შოთა მორჩილაძეს, ავთანდილ მაისურაძეს და სხვებს. ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი გიორგი წურწუმია (ელადაში იგი ყაზახეთის სახელით გამოდიოდა), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ბადრი ხასაია, ასევე, ცნობილი ფალავნები – იოსებ ბერიშვილი,




თენგიზ თედორაძე, გიორგი მაკალათია, დავით ლატარია სულაც მან მოამზადა საერთაშორისო სარბიელზე საასპარეზოდ. ამაგდარ მწვრთნელს წლეულს 70 წელი შეუსრულდა. დათო დავითაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება ჟურნალისტ ვაჟა დანელიას წიგნი „ქურუმის ქურაში“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა სამზეოზე. ორივე გამოცემის რედაქტორია თენგიზ გაჩეჩილაძე.

**ვულოცავთ დავით დავითაიას იუბილეს და ვაჟა დანელიას მეათე წიგნის გამოსვლას.**

**გია პლატონიშვილი**

ერიჟა!

**წლევანდელმა აგვისტომ კატასტროფული შედეგი გვარგუნა: ისედაც დაუძლურებულსა და ეკონომიკურ კოლაფსში მყოფ ქვეყანას ყოფნა-არყოფნის პერიოდი დაუდგა.სახლ-კარ დანგრეულ-გადაბუგული, ბაღ-ვენახ აოხრებული ათეულ ათასობით ადამიანი დევნილი გახდა, ბევრი დაიღუპა, საქართველოში ძველს ახალი ოკუპირებული ტერიტორიები მიემატა.**

**მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ჩვეული ფუჭი და უძალო დაპირებებით, უცხოეთიდან შემოთავაზებული სოციალური და ფინანსური დახმარებებით ცდილობს ხალხის დაშოშმინებას და კატასტროფიდან თავის დაძვრენას. მართალია, ხელის ამგვარად გამართვა, ფეხზე წამოდგომაში შეშველება მოსაწონია და მისალმები, მაგრამ მხოლოდ მის იმედად დარჩენა, ყოვლად მიუღებელი და მდგომარეობის კიდევ უფრო დამამძიმებელია.**

# ის, რაც სიკეთე კი არა, სისულელეა,

**მოქმედო თუ ჩამოწერილო უცხოელო ხელოვნებო, ვისაც ბევრი ფულის შოვნა გინდათ, საქართველოში ჩამობრძანდით**



სანამ შეიძლება სხვათა იმედით ყოფნა? მით უფრო, თუ...

აი, ერთი მაგალითი: სექტემბრის მიწურულს ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ცნობილი კანადელი მომღერალი ბრაიან ადამსი თბილისში კონცერტს გამართავს და მას რუს აგრესორებთან ბრძოლებში დაღუპულთა მარადიულ ხსოვნას მიუძღვნისო. ერთი სიტყვით, კანადელმა მომღერალმა, ჩვენი ვარაუდით, საქველმოქმედო კონცერტის გამართვა და, რაც მთავარია, რუსთა ბარბაროსული აგრესიით განადგურებულ ერთ-ერთ სოფელში საკუთარი სახსრებით სკოლის აშენება მოისურვა.

საქვეყნოდ აღიარებული მომღერლისთვის თბილისში, ღია ცის ქვეშ, მრავალრიცხოვანი მსმენელის თავშეყრის ადგილზე შესაფერისი სცენის გამართვა შეუძლებელი შეიქნა, რის გამოც ამგვარი სცენა და სათანადო აღჭურვილობა სამი საგანგებო თვითმფრინავით ჩამოიტანეს კიევიდან და რიყეზე დაამონტაჟეს.

23 სექტემბერს შეპირებული კონცერტი გაიმართა. მრავალრიცხოვანმა მსმენელმა ოვაცია გაუმართა კეთილი ნების მისიით ჩამობრძანებულ ხელოვანს. თავად მომღერალმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა და მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისთვის, მისი ხელოვნების ამგვარად შეფასებისთვის და კიდევ ერთხელ გვაუწყა ერთ-ერთ იავარქმნილ სოფელში საკუთარი სახსრებით სკოლის აშენების შესახებ. კანადელი მომღერლის ასეთი გარჯა ქართველებმა კვლავაც ქველმოქმედების გაწევის ჩვეულებრივ, ადამიანურ ქმედებად აღვიქვით. თუმცა, ბრაიან ადამსის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ უმალ გავრცელდა უცნაური და ერთობ დამაფიქრებელი, დაუჯერებელი ხმები მისთვის ჩვენი სადღეისო ყოფისთვის შეუსატყვისი ჰონორარის — მილიონნახევარი ფუნტი სტერლინგის გადახდის თაობაზე.

**კი, მაგრამ, აკი კონცერტი საქველმოქმედო იქნებაო? თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ გამოდის, რომ ბატონი ადამსი საკუთარი სახსრებით კი არა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მათხოვრებად გადაქცეული დამშეულ-დასნეულებული მოსახლეობისგან წაგლეჯილი ფულიდან გადახდილი ჰონორარის გარკვეული ნაწილით ააშენებს იმ შეპირებულ სკოლას (!ძ.**

და კიდევ ერთი — თუ ძვირადღირებული ჰონორარის ამბავი მართლაც ნამდვილია, ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ, რომ „ქველმოქმედი“ მომღერლისთვის გადახდილი თანხით ერთის კი არა, ბარე რამდენიმე ათეული სკოლის აშენება შეიძლებოდა.

თუმცა, ურიგო არ იქნება იმის გახსენებაც, კანადელ მომღერლამდე, გალატაკებულ-უპოვარი ქართველების მოძალადე ხელისუფლებმა როგორი გვარიანი ჰონორარებით გაისტუმრეს ჩვენთან ორჯერ ჩამოსული, იტალიელებისგან დიდი ხნის წინათ მივიწყებული ყავლგასული ტოტო კუტუნიო; არგენტინელი სომეხი, ძალზე უგემოვნო, მდარე მონაცემებიანი, ექვსი მილიონი დოლარით დაჯილდოებული შაკირა; არაფრით გამორჩეული, ხმაურიანი „სიმღერის“ გამო დიდფულგადახდილი სააკაშვილის ჯილა რუსლანა...

დაგვეთანხმებით, რომ სახელი და დიდება, მოწონება, სიყვარული და ბევრი ფული ყველას უნდა. გამონაკლისები არც ხელოვანები გახლავან — აღიარება და საგრძნობი ანაზღაურება მათთვისაც სასურველი და აუცილებელი პირობაა. და თუ ჩვენი წერილი ინტერნეტის სათანადო ინგლისურენოვან საიტზე განთავსდება, დარწმუნებული ვართ, ბევრი დამწყები, საყოველთაოდ ცნობილი თუ კარგა ხნის წინათ თვალს მიფარებული პიროვნება მოაშურებს საქართველოს.

**ჰოდა, ჩამობრძანდით, სახელისა და დიდების მაძიებელ-მომპოვებლებო, დიდი ფულის შოვნის მოსურნე ხელოვნების ყველა ჟანრის წარმომადგენლებო!**

**ისე კი ქართველებო, ურიგო არ იქნება, თუ ყურს ვათხოვებთ ერთ ფრთიან ფრაზას: „მეტისმეტი ხელგაშლილობა და გულგაშლილობა სიკეთე კი არა, სისულელეა“!**

**გელა ჯიღაური**

ბლეფი

# „ბრანდიოზულიდან“ „უპრეცედენტო“ ამნისტიამდე

**(მეცხრე გვერდიდან)**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 23 ნოემბრის ამნისტია, მის გამოსვლამდე ორი კვირით ადრეც კი არ არის პარლამენტში შესული. საინტერესოა, როდის მოესწრება მისი განხილვა საპარლამენტო კომისიებსა და ქვეკომისიებში. „პატიმართა უფლებების დამცველი“ არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი **ნანა კაკაბაძე** თვლის, რომ პარლამენტს, რომელსაც ყოველგვარი განხილვის გარეშე შეუძლია ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ორ საათში (ცხადია მხოლოდ დადებითი რეპლიკებისა და მოსაზრებების ფონზეძ არ უნდა გაუჭირდეს ამნისტიის მიღება თუნდაც ნახევარ საათში.

მოსალოდნელი ამნისტიის შესახებ ჟურნალისტებს ვერ პასუხობენ პარლამენტარები, თვით იურიდიული კომიტეტის წევრებიც. ისინი, უბრალოდ, არ არიან საქმის კურსში, ან ზემოდან მიღებული დირექტივით ეკრძალებათ ამ საკითხებზე საუბარი.

უმრავლესობის წარმომადგენელთაგან განსხვავებით ამნისტიის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს ოპოზიციიდან პარლამენტში გადაბარგებული დეპუტატი **გია ცაგარეიშვილი.** იგი აცხადებს, რომ ეს ჰუმანიტარული აქტი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს — **ამნისტიად,** რომელიც საქართველოს პარლამენტმა 23 ნოემბრისთვის უნდა მიიღოს და **შეწყალებად,** რომელსაც პრეზიდენტი საახალწლოდ მოაწერს ხელს. პრესასთან საუბრისას იგი აცხადებს, რომ ამნისტია შეეხება 60 მუხლს. თუმცა უმრავლესობაში მყოფი კოლეგების მსგავსად არც იგი აკონკრეტებს თუ რომელ მუხლებზეა საუბარი.



* * *

**იურისტები, ადვოკატები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლება შარშანდელის მსგავს ამნისტიას არ შეეხება, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ბევრი ისეთი მუხლიც, რომელთათვის უბრალო დანაშაულის ჩამდენი 20-25-წლიანი პატიმრობისთვის არიან განწირული.**

ადვოკატი ნანა ბექაური მასმედიის საშუალებისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ამნისტია აუცილებლად უნდა გავრცელდეს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. ამ კატეგორიის ხალხს დანაშაული უნდა გაუნახევრდეთ მაინც.

პრაქტიკოს ადვოკატებს, მოჰყავთ რა სტატისტიკური მონაცემები, აცხადებენ, რომ სასამართლო პრაქტიკაში ძალიან ბევრია ე. წ. სასჯელის შეკრების წესის გამოყენება. არიან მსჯავრდებულები, რომლებიც კანონის ამ მუხლით, ძეხვის, ავტომანქანის და გაყიდული ტყის ზოლიდან ფიჩხის მოპარვის გამო, სასჯელთა კრებითობის წესით 30 წლამდე პატიმრობაში უნდა დარჩნენ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელები არ უნდა იკრიბებოდეს. ნანა ბექაური თვლის, რომ ამ მუხლებით გასამართლებულთა მიმართ ამნისტიის მისადაგება მისასალმებელი იქნებოდა. ამნისტიას კი აუცილებლად უნდა მოჰყვეს საკანონმდებლო ცვლილება. უნდა აღსდგეს ძველი — სასჯელის უმაღლესი ზომის მიერ უმდაბლესის შთანთქვის წესი.

იურისტები და ადვოკატები სკეპტიკურად არიან „უპრეცედენტო“ ამნისტიის მიმართ განწყობილნი, მათ მიაჩნიათ, რომ ამნისტია ყველა შემთხვევაში კარგია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ის უფრო ხალხის დასაშოშმინებლად გამოიყენება, ვიდრე თანამოქალაქეებზე ზრუნვით.

**ზაზა ბილიხოძე**

ხსოვნა

# ალექსანდრე ხურციძე



**მძიმეა დანაკლისი, რომელიც ამ დღეებში საქართველოს ვეტერანთა მოძრაობამ განიცადა — გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი და აქტიური მონაწილე, ვაკე-საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, ომგადახდილ მეომართა და ზურგის მუშაკთა გულითადი მეგობარი ალექსანდრე პეტრეს ძე ხურციძე. წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი სახელოვანი ადამიანი, ბუნებით სულიერად მდიდარი პიროვნება, რომელიც მთელი 25 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა თბილისელ (საბურთალოელძ ვეტერანთა ცხოვრებას, საქმიანობას, იყო მათი მზრუნველი და ხელმძღვანელი.**

**ალექსანდრე ხურციძის მიერ განვლილი სასიცოცხლო გზა ტიპობრივია ჩვენი ადამიანებისთვის: დაიბადა 1914 წლის 27 სექტემბერს ვანის რაიონის სოფელ ქვედაგორაში. ადრე დაობლდა და ახლო ნათესავების დახმარებით სწავლობდა, იძენდა ცოდნას, ხოლო შემდეგ მუშაობდა გურჯაანში, საჩხერეში, გარეუბანში განათლების სისტემისა და კომკავშირულ-პარტიულ თანამდებობებზე. დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ყოველ საქმეში ავლენდა ენერგიულობას, მონდომებას, გამორჩეულ ორგანიზატორულ უნარს.**

**საკმაოდ დიდხანს მოუწია საჩხერის რაიონში მუშაობა: იყო კომკავშირის რაიკომის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კომუნალური მეურნეობის განყოფილების კომბინატის დირექტორი, პარტრაიკომის განყოფილების გამგე. დიდი წვლილი აქვს შეტანილი რაიონის სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებაში, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებაში. სწორედ ამიტომ მიაკუთვნეს საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდება. ბევრი რამ გააკეთა ომის პერიოდში ფრონტისათვის დახმარების საქმეში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა ვერ მიიღო, მაგრამ დიდ ენერგიულობას იჩენდა ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში, ფრონტელთა ოჯახების საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, მეომართათვის საჩუქრების მომზადებაში, სხვადასხვა სახის სამხედრო დავალებათა შესრულებაში. 50-იანი წლებიდან მუშაობა თბილისში განაგრძო გაერთიანება აგრომრეწვჭარობის სამმართველოს უფროსად, რაიონის ბოსტანვაჭრობის დირექტორად. 1981 წელს დაენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.**

**ცხოვრების ბოლო 25 წელიწადი ალექსანდრე ხურციძემ ვეტერანთა მოძრაობაში გაატარა: იყო საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე და თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი როგორც ფრონტელ მეომართა, ისე ზურგის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების უზრუნველყოფაში. დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა ვეტერანთა ორგანიზაციის შენარჩუნებაში და დაიცვა იგი მისი გაუქმების მცდელობებისაგან. მალე როგორც სხვა, ისე საბურთალოს რაიონული საბჭოს მუშაობა ჩვეულ მიმდინარეობას დაუბრუნდა და მოწინავე გახდა არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელს საქართველოში. მისი მუშაკები ყურადღებას იქცევდნენ ადამიანებისადმი გულისხმიერებით, მეგობრული შეხვედრით და მათ საჭიროებათა გათვალისწინებით.**

**მთელი ამ მუშაობის ხელმძღვანელი და წარმმართველი გახლდათ ალექსანდრე ხურციძე, რომელიც ვეტერანთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და სწორედ ამიტომ ზედიზედ ირჩევდნენ მას თანამდებობაზე. მისი წვლილი საქართველოს ვეტერანთა მოძრაობაში თვალსაჩინო და დაუვიწყარია. ჩვენს რიგებში ძნელად მოიძებნება კაცი, რომელსაც ომგადახდილთა სამსახურში ამდენ ხანს ემუშაოს.**

**ალექსანდრე ხურციძეს მიღებული ჰქონდა ბევრი სახელმწიფო ჯილდო და, მათ შორის, ღირსების ორდენი.**

**დიდად სამწუხაროა, რომ იგი უკვე აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მისი ხსოვნა მუდამ დარჩება თანამებრძოლ-მეგობრების გულებში, ხოლო სახელი ვეტერანთა მოძრაობის ისტორიაში. ძალიან გვინდოდა, რომ იგი გვეხილა 100-წლოვანთა შორის, მაგრამ ბუნებამ ასე არ ინება. გვიმძიმს მასთან განშორება.**

**მშვიდობით ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო!**

**საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი;**
**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები.**

---

**მშობლები ვარდენ, მერი ფეიქრიშვილები, ძმა გოჩა, რძალი შორენა, ძმისწულები გიორგი, ლექსო, ლიზი ფეიქრიშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი ვარდენის ძე ფეიქრიშვილი**

**პანაშვიდი 13, 14 XI, 16 სთ. გამოსვენება 15 XI, 14 სთ. მისამართი: ბახტრიონის ქ. №28, I სადარბაზო.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს გიორგი ციციშვილს და აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვლადიმერ ციციშვილს მეუღლისა და დედის ქალბატონ**

**ლიდიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

2008 წლის 22 დეკემბერს 15 საათზე ჩატარდება სს „ნუგბარის“ აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის ანგარიშის განხილვა.

ქ. ქუთაისი ნიკიას ქ. №18.

**ადმინისტრაცია**

## შეემატოს საქართველოს!

# ცხრამუხასთან რომ კომბინატი შენდება...

**მერე რა, რომ წვიმს. ხის გადამამუშავებელი კომბინატის ტერიტორიის კეთილმოწყობის, კერძოდ, მოხრეშვის სამუშაოები ერთი წუთითაც არ მინელებულა. გრეიდერის მემანქანე ნიკო ბერძენიშვილი ოსტატურად დაატარებს უზარმაზარ მექანიზმს კომბინატის ხუთჰექტარიან ეზოში. აქვე ტრიალებენ მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები — შპს „ორიონის“ მთავარი ინჟინერი დავით ძაგანელი და სამუშაოთა მწარმოებელი ვახტანგ ბერძენიშვილი. მაგრამ მთავარი სამუშაო ის მძლავრი ხის გადამამუშავებელი კომბინატია, რომლის დამთავრებასაც მომავალი წლის შემოდგომაზე აპირებენ.**

იტალიურმა კომპანია „GEORGIAN TIMBER INTERNATIONAL“-მა ხაშურიდან დასავლეთით, ახალდაბა-ბორჯომის მიმართულებით შეიძინა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 60015 კვადრატული მეტრი ფართობი და სოფელ ცხრამუხასთან ხის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა წამოიწყო.

წარმოებაში ჩადებულია 11 მილიონი დოლარის ინვესტიცია.

პირველი ბარი აქ დაჰკრეს წლეულს, მაისში, და დღეს მთავარი კორპუსის რკინა-ბეტონის კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობა უკვე დამთავრებულია. წლის ბოლოსთვის მზად იქნება მთავარი სამხერხაო შენობა, სატრანსფორმატორო და საგენერაციო ნაგებობები, დამთავრდება კომბინატის ელექტრომომარაგება.

მშენებლობის მთელი ციკლის დასრულება 2009 წლის შემოდგომაზეა ნავარაუდევი.

აქ დახერხილ ხის მასალას და კონსტრუქციებს ევროპის ბაზარზე გაიტანენ. წარმოებაში 400-მდე მუშა დასაქმდება.

# შენდება ხილის გადამამუშავებელი ქარხანა



**დღეს საქართველოში კომპანია „HIPP“-ის შესახებ ძალიან ბევრმა იცის. იგი მსოფლიოში ცნობილი ბრენდია. კომპანიის მრავალფეროვანი ასორტიმენტის, ეკოლოგიურად სუფთა ბავშვთა კვების პროდუქტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ევროკავშირის სერტიფიკატი, მწვანე შუქი უნთია ნებისმიერ კონტინენტზე, ნებისმიერ ქვეყანაში.**

კლაუს ჰიპი, კომპანიის პრეზიდენტი, საქართველოში ბევრი კეთილი საქმის წამომწყებია. ამასწინანდელ „თბილისობაზე“ მისთვის თბილისის საპატიო მოქალაქის საპატიო წოდების მინიჭება ამ დამსახურების აღიარება იყო.

კომპანია „HIPP-GEORGIA“-ს ერთ ადგილზე გაჩერებულს ვერ ნახავ. მისთვისაც მოძრაობა და მოძრაობაა მთავარი. და აი, ბატონმა ჰიპმა ქართლის, მესხეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მეხილეობის რეგიონები მოიარა, გაეცნო ადგილობრივი მეხილე-ფერმერების საქმიანობას, დაათვალიერა ბაღები, ხილი იხილა და სასიამოვნო აღმოჩენაც გააკეთა: ქართული ხილი თავისი გემოთი და სხვა ბიოლოგიური თვისებებით ერთი საუკეთესოთაგანია მსოფლიოში. ამას უკვე საქმე მოჰყვა: ხაშურთან ახლო, სოფელ ტეზერთან შეიძინა მიწის ფართობი და ხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას შეუდგა. წარმოებაში შვიდი მილიონი ლარია ჩადებული.

— ქარხნის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, — მითხრა „ჰიპ-ჯორჯიას“ წარმომადგენელმა არჩილ ბურჯანაძემ, — გაისად უკვე ხილის მოსავალს ჩვენს ქარხანაში გადავამუშავებთ. ვაშლის კონცენტრირებულ წვენს ცისტერნებში ჩაასხამენ და შემდგომი საწარმოო პროცესებისთვის ევროპაში კომპანიის ქარხნებში გაიტანენ. ქარხანა დღე-ღამეში 300 ტონა ხილს გადაამუშავებს.

**გურამ ვაშაკიძე**

## აუქციონი

# სააკაშვილის „ოქროს ვარდი“ ჰოლანდიაში წაბრძანდა



**ექვსი წელია საგამომცემლო სახლი „სახელ(ლ)ძები და ჟურნალი „სახელ(ლ)ძები“ საქველმოქმედო აუქციონს აწყობენ, რათა ფინანსური დახმარება გაუწიონ საქართველოში მცხოვრებ საუკუნესგადაცილებულ ადამიანებს. ის მცირედი საჩუქარიც კი, რაც მათ გადაეცემათ და გაჭირვებულ ყოფაში ზღვაში წვეთია, მაგრამ მაინც სასიხარულოა, რადგან ღვთის წყალობით დღესაც არიან ადამიანები, ვინც მათ ბედზე ზრუნავს და მათზე ფიქრობს.**

ასე იყო ამჯერადაც, 10 ნოემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართული აუქციონის ორგანიზატორი გახლდათ „პიარ კომპანია ემ ენ კონტაქტის“ გენერალური დირექტორი გიორგი ოქრიაშვილი. აუქციონზე შემოსული თანხა გადაეცემათ გორისა და ცხინვალის რაიონებში მცხოვრებ უხუცესებს. ბევრმა მათგანმა საკუთარი სახლ-კარი არ მიატოვა აგვისტოს ომის დროს, მეტიც ისინი სიცოცხლის ფასად უვლიდნენ თანასოფლელთა მიტოვებულ სახლებს, ეზოკარს, ბევრი მათგანი ოსმა სეპარატისტებმა ტყვედაც აიყვანეს.

რაც შეეხება აუქციონს, აქ წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი ადამიანების პირადი ნივთები. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ცნობილი ბიზნესმენები, საელჩოების წარმომადგენლები. აბა ვინ დაიშურებდა ფულს ჭაბუა ამირეჯიბის ხელნაწერში „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი თავიდან (საწყისი ფასი 1000 ლარიძ, ანდაც ანდრია ბალანჩივაძის სიმფონიური სურათის — „ზღვა“ — პარტიტურასა და ოჯახის რელიკვიაში დიდი კომპოზიტორის საფერფლე (400 ლარიძ, ბიძინა კვერნაძისა და რეზო ლაღიძის სიმღერების პარტიტურები (400-400 ლარიძ, ნინო რამიშვილის განუყრელი ყავის ფინჯანი (120 ლარიძ, პრეზიდენტ სააკაშვილის „ოქროს ვარდი“ მისი სამუშაო მაგიდიდან (500 ლარიძ და სხვა.

აუქციონის წამყვანებმა, ტელეჟურნალისტმა ნინო არაბაშვილმა და მსახიობმა მიშა გომელაურმა ღონისძიების აქტიური მონაწილეები სპეციალური სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს. რჩეულთა შორის იყვნენ მედეა ჩახავა და კახი კავსაძე, იურისტი ზვიად კორძაძე, მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე და ინგლისის ელჩი საქართველოში, რომელიც აუქციონს არ ესწრებოდა და მის ნაცვლად ჯილდო მეუღლეს გადაეცა. უნდა აღი-



ნიშნოს, რომ ელჩის თანამეცხედრემ შესაშური ქართულით მიმართა საზოგადოებას და დიდი სიმპათიებიც დაიმსახურა.

ძალზე სწრაფად გაიყიდა სერგო ზაქარიაძის, რეზო ლაღიძის, სოფიკო ჭიაურელის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნინო ანანიაშვილის და ბიძინა კვერნაძის პირადი ნივთები. ყველაზე ძვირად — 10000 ლარად — ჰოლანდიაში მცხოვრებმა ეკატერინე სვანიძემ პრეზიდენტის „ოქროს ვარდი“ შეიძინა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**

**სურათებზე: ეკატერინე სვანიძე პრეზიდენტის „ოქროს ვარდით“; აუციონზე გამოტანილი ნივთები.**

**ავტორის ფოტო.**

## დაზუსტება

**გუშინ, 11 ნოემბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა აქტუალური ინტერვიუ — „საქართველოს პარლამენტი უკანონობის დაკანონებას აპირებს?..“ მისი ბოლო აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს:**

**„ასეთი სერიოზული შენიშვნების ფონზე ეჭვი აღარ მეპარება, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადებულია გავლენიანი პიროვნებების ზეწოლით, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2009 წელს შემცირებული ობიექტების შესავსებად, გაუჩინონ დამატებითი ბერკეტები და უკანონო შემოსავლის წყაროები.**

**8 ნოემბრის გაზეთის მე-15 გვერდის პუბლიკაციაში „პრემიათცვენა“ მეორე სვეტის პირველ აბზაცში უნდა იყოს „აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე“ (ნაცვლად თვალჭრელიძისაძ. ავტორი ბოდიშს უხდის ბატონ ერეკლეს დაშვებული შეცდომისათვის.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

**— ამბობენ, რომ თმის ტიპის მიხედვით შეიძლება ადამიანის ხასიათის გამოცნობა.**

**— ეს როგორ?**

**— როგორ და, თუ ადამიანს რბილი თმები აქვს, ხასიათიც რბილი ექნება, თუ უხეში — უხეში.**

**— მაგრამ თუ ადამიანი მელოტია?**

**— მელოტებს ხასიათიც გაქაჩლებული აქვთ.**



* * *

**— ალო! ტელევიზიაა? ეს „საჯდომით სოფლისკენ“ პროგრამაა?**

**— არა, ეს „პირით ქალაქისკენ“ პროგრამაა.**

**— ჰოდა, სოფლისკენ საჯდომით არ იქნებით?**

* * *

**ნებისმიერი საქმის დადებითი მხარე მთვარის უკანა მხარეს ჰგავს, ყველამ ვიცით, რომ არის, მაგრამ პრაქტიკულად ვერავინ ხედავს.**

* * *

**ქალს მეორე ვაჟი შეეძინა. მას კი გოგო უნდოდა. აცრემლებული ქალი ძერათმიან ლამაზმან დაქალს შესჩივის. დაქალი ამშვიდებს:**

**— ასე ძალიანაც ნუ განიცდი. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. იქნებ სულაც პასიურ ჰომოსექსუალისტად გაიზარდოს.**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.